საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 91 (2007) | ხუთშაბათი, 27 ივლისი, 1995 წელი | ფასი 200 000 კუპონი

ედუარდ შევარდნაძე ახალციხის ზონაში შეხვდება სულეიმან დემირელს

საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თურქეთში ნოდარ კომახიძე ანკარაში შეხვდა თურქეთის პრეზიდენტს სულეიმან დემირელს. საუბრის დროს განიხილეს საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე საკითხები. უწინარეს ყოვლისა, განიხილეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან — სახელმწიფოს მეთაურთან ედუარდ შევარდნაძესთან თურქეთის პრეზიდენტის ბატონ სულეიმან დემირელის მომავალი შეხვედრის საკითხი, რომლის გამართვა 31 ივლისისათვის არის დასახული ახალციხის ზონაში — იქ ახალი სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გახსნის დროს. ამ პუნქტმა საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ორი მეზობელი ქვეყნის კონტაქტების განმტკიცების საქმეში.

საუბრის დროს მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო თურქეთის მიერ საქართველოსათვის ორი წლის წინათ გამოყოფილი ვალის გასტუმრების საკითხს, რომელიც რამდენიმე ათეულ მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს. საქმე ის არის, რომ ამჟამად საქართველოს არ ძალუძს ამ ვალის დაფარვა რადგან, „ექსიმ-ბანკს“, რომლის ანგარიშზეც ჩაირიცხა თანხა, მთელი რიგი მიზეზების გამო, არ შეუძლია მისი გადახდა. თურქეთის პრეზიდენტმა აღუთქვა საქართველოს ელჩს, რომ გასცემს შესაბამის განკარგულებას ვალის გასტუმრების ვადების გახანგრძლივებისა და მსოფლიო ეკონომიკურ ბაზარზე საქართველოს ავტორიტეტის განმტკიცებისათვის. მან აგრეთვე დაადასტურა თავისი პოზიცია აზერბაიჯან-თურქეთის ნავთობსადენის საქართველოს ტერიტორიის გავლით გაყვანის საკითხის თაობაზე.

საქინფორმი.

საქართველოს პარლამენტში

„უნდა მივიღოთ ისეთი კონსტიტუცია, როგორიც დღევანდელ საქართველოს და მის მომავალს შეეფერება“

25 ივლისს გაიმართა პარლამენტის საგანგებო სესიის პლენარული სხდომა, რომელმაც სათანადო ცვლილებები შეიტანა პარლამენტის არჩევნებისა და რეფერენდუმის დანიშვნის შესახებ პარლამენტის 4 ივლისის დადგენილებაში. სხდომაზე შესავალი სიტყვა წარმოთქვა პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ. მან თქვა:

საკონსტიტუციო კომისიის შექმნისას, პროექტის განხილვის დროს, პროექტის კომისიაში წარდგენისას ცალკეულ საჯარო გამოსვლებში მეც და ჩემმა კოლეგებმაც არა ერთხელ ვცადეთ და ჩამოვაყალიბეთ კონსტიტუციის მიღების მიზანი, მისი კონცეფცია, შინაარსი და ცალკეული, ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტები. თქვენი თანხმობით, ყოველივე ამას უბრალოდ, ფრაგმენტულად შეგახსენებთ. პლენარულ სხდომებზე პროექტის განხილვის დროს გვექნება საშუალება, მათ შორის მეც, განემარტოთ ჩვენი და საკონსტიტუციო კომისიის ხედვა ამა თუ იმ საკითხისა. მანამდე კი მინდა შევეხო ერთ, ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვან თემას, რომელსაც ზოგჯერ არასწორად აშუქებენ, უმეტესად კი, თითქოს არც ამჩნევენ. საქმე ეხება სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას, მის შემადგენლობას და მის მიერ მიღებულ პროექტს, მე, როგორც სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის ერთ-ერთ მონაწილეს, არ შემიძლია უპასუხოდ დავტოვო ზოგიერთი, არცთუ მართებული კრიტიკული გამოსვლა თუ განწყობა, რომლებიც კონკრეტულ წრეებში გამოითქმება.

ჯერ კომისიის შემადგენლობის შესახებ. დამეთანხმებით, ალბათ, რომ ნებისმიერი ორგანოს ფორმირება მეტად ფაქიზი, დელიკატური საქმე არის. ჩემი აზრით, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შემადგენლობა ძალზე შთამბეჭდავია, თითქმის ნახევარს შეადგენენ პარლამენტში წარმოდგენილი პარტიებისა და ჯგუფების დელეგატები და ცალკეული დეპუტატები, რითაც უნდა უზრუნველვყოთ კონსტიტუციის პროექტის პოლიტიკური სახე, კომისიის შემადგენლობაშია „ინკომ კორპორაციის“ ძალიან მნიშვნელოვანი ბირთვი — ეკონომისტები, პოლიტოლოგები, ისტორიკოსები, ფსიქოლოგები, სახელმწიფო მოღვაწეები, რაც უნდა ყოფილიყო კონსტიტუციის, როგორც კარგი დონის ნორმალური ნაწარმოების შექმნის გარანტია, სულაც არ იყო ნომინალურ სხდომებში მეცნიერებათა აკადემიის, მისი პრეზიდენტის, აკადემიკოსების, კვლევითი ცენტრების ხელმძღვანელების, ცნობილი სპეციალისტების, სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის და წამყვანი პროფესორ-მასწავლებლების მონაწილეობა. დიდად პატივცემულმა ადამიანებმა დროისა და ჯანმრთელობის დაუზოგავად იმუშავეს წარმოდგენილ პროექტზე, მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მისი ტექსტი. მიაქციოთ ყურადღება: ამ ღირსეული შემადგენლობის ორგანომ, რომელიც, ჩემი აზრით, ადეკვატურად ასახავს დღევანდელი საქართველოს სოციალურ, დემოკრატიულ, პოლიტიკურ და, თუ გნებავთ, ზნეობრივ სახეს, პრაქტიკულად, ერთსულოვნად (მხოლოდ ოთხი იყო წინააღმდეგი), მიიღო ის ტექსტი, რომლის განხილვას ჩვენ ვიწყებთ. ვთხოვ პარლამენტს გაითვალისწინოს ეს.

ჩემი მხრივ, მინდა კიდევ ერთხელ ვუთხრა მადლობა გაწეული შრომისათვის სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის ყველა წევრს და მის არცთუ ისე მრავალრიცხოვან აპარატს.

ახლა, რამდენიმე სიტყვა უშუალოდ კონსტიტუციაზე. უდავოა, რომ ჩვენი ქვეყანა იმყოფება განვითარების გარდამავალ ეტაპზე. ძნელია იმის თქმა, ზუსტად რამდენ ხანს გაგრძელდება ეს პერიოდი — შეიძლება დასჭირდეს 5-10 წელიწადი და ასე შემდეგ, ამ ეტაპის მთავარი მახასიათებელია განვითარების საკუთარი გზების ძიება, მოშლილი საზოგადოებრივი მექანიზმების ამოქმედება. გარკვეული ტიპისა და ფორმის საზოგადოებრივი წყობის ჩამოყალიბება. თუ ძირითადი პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური განწყობილებებითა და არსებული პოლიტიკური ძალებით ვიმსჯელებთ, უარყოფილია საბჭოთა რესპუბლიკა და სოციალისტური ეკონომიკა, ერთპარტიული სისტემა, ტოტალიტარული პოლიტიკური რეჟიმი.

კონსტიტუციის მიღების ისტორიული მნიშვნელობა ის არის, რომ მან უნდა განსაზღვროს ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარების ორიენტირები, ამის საფუძველზე უნდა ჩამოყალიბდეს ახალი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი სისტემა, ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს ურთიერთდამოკიდებულება სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის.

რას გვთავაზობს წარმოდგენილი პროექტი? კონსტიტუციის ნორმების შემუშავებისას ჩვენ გადასაწყვეტი გვქონდა სტრატეგიული და კონკრეტული პოლიტიკური ამოცანები. თუ ზოგად სტრატეგიულ მიზანს შევეხებით, ჩვენ გვსურდა შეგვექმნა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების კონსტიტუციურ-სამართლებრივი მექანიზმი. ამ მიზნის მიღწევას ემსახურება კონსტიტუციის მუხლები, რომლებშიც დამტკიცებულია ადამიანის ფართო უფლებები და თავისუფლებები საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში და ამის საფუძველზე არსებული დემოკრატიული ინსტიტუტების შემდგომი განვითარება, სამართლებრივი და, მინდა ხაზი გავუსვა, სოციალურ სამართლიანობაზე ორიენტირებული სახელმწიფოს ატრიბუტები, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის ხელშეწყობის პრინციპებზე აგებული საბაზრო ეკონომიკა, გადაწყვეტილების მიღების პოლიცენტრული სისტემა, რაც სახელმწიფო ხელისუფლების დონეზე ვერტიკალური განაწილებით გამოიხატება, საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში დამოუკიდებელი, ძლიერი მართლმსაჯულების და საკონსტიტუციო ზედამხედველობის დამკვიდრება. რამდენად სწორია ეს ჩვენი სოციალური ორიენტირები და რამდენად ადეკვატურად აისახება ისინი კონსტიტუციის ტექსტში, ამას გვიჩვენებს განხილვაც და ცხოვრებაც. ყოველ შემთხვევაში, არც საკონსტიტუციო კომისიაში განხილვის დროს, არც მრავალრიცხოვან შინაურ და უცხოელ ექსპერტებთან მსჯელობისას, დისკუსიისას პროექტის სოციალური ღირებულება არგუმენტირებულად, საეჭვოდ არ გაუხდიათ.

ახლა, რამდენიმე მოსაზრება პროექტის იმ საკვანძო საკითხებზე, რომლებმაც, ასე ვთქვათ, საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია, რა თქმა უნდა, უპირველესად, ეს არის მართვა-გამგეობისა და ტერიტორიული მოწყობის საკითხები, კონსტიტუციის პროექტი ითვალისწინებს მართვა-გამგეობის ფორმას, რომელსაც კონსტიტუციის თეორიაში და პოლიტოლოგიაში, ზოგადად, შერეულს — ნახევრად საპრეზიდენტოს უწოდებენ. ამ მოდელში გათვალისწინებულია სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოთა გაწონასწორებული სისტემა, რომელშიც საკანონმდებლო და უმაღლეს საკონტროლო ფუნქციებს ახორციელებს პარლამენტი, აღმასრულებელ ხელისუფლებას — მინისტრთა კაბინეტი, სასამართლო ხელისუფლებას — უზენაესი სასამართლო და საკონსტიტუციო სასამართლო. ამ მოდელში რესპუბლიკის პრეზიდენტი ასრულებს სახელმწიფოს მეთაურის ტრადიციულ უფლებამოსილებას, აგრეთვე იგი ვალდებულია უზრუნველყოს ქვეყნის ერთიანობა და მთლიანობა, სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობა კონსტიტუციური გზით (ეს, ალბათ, ამ მოდელის ერთ-ერთი თავისებურებაა). გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება პროექტის 66-ე მუხლში განმტკიცებულ ამ ნორმას, ვინაიდან ყველა დანარჩენი უფლებამოსილებანი სწორედ აქედან გამომდინარეობს, ემსახურება ჩამოთვლილ ფუნქციათა რეალურ და ეფექტიან განხორციელებას.

რამ განაპირობა მართვა-გამგეობის ეს შერჩევა, ან, უფრო ზოგადად, რატომ გახდა გერმანია საკანცლერო ქვეყანა, რატომ არის ამერიკის შეერთებული შტატები — საპრეზიდენტო, ხოლო საფრანგეთი და პოსტსაბჭოური სახელმწიფოების უმრავლესობა — ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკები, სადაც უფრო საპრეზიდენტოსაკენ იხრებიან. თქვენ, ალბათ, აქცევთ ყურადღებას, ამ უკანასკნელ პერიოდში ბევრმა პოსტსაბჭოური ხანის ქვეყანამ მიიღო კონსტიტუცია, რომელშიც სწორედ ეს ელემენტებია ხაზგასმული. რა თქმა უნდა, მართვა-გამგეობის შერჩევისას ძლიერია პოლიტიკურ ფაქტორებზე სუბიექტური ფაქტორების მოქმედება, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია მთელ რიგ ობიექტურ გარემოებათა გათვალისწინება. ასეთ გარემოებათა რიცხვს მივაკუთვნეთ საქართველოს ისტორიული განვითარების თავისებურებანი, მსოფლიოში არსებული ე. წ. კლასიკური და არაკლასიკური მოდელების ფუნქციონირების ანალიზი, საქართველოს რეალიები და განვითარების შესაძლებლობანი. მიგვაჩნია, რომ ჩვენი ხალხის ბუნებაში სახელმწიფო ძალაუფლება, უწინარესად პერსონიფიცირებულია ძლიერ ხელისუფლებასთან, ვფიქრობ, ამომრჩევლები არ დაუჭერენ მხარს პარლამენტის უსუსურობას, ისევე, როგორც არ დაუჭერენ მხარს უსუსურ პრეზიდენტს. ჩემი აზრით, ამ საკითხებზე სერიოზული ფიქრი და განსჯაა საჭირო.

საქართველოში დაიწყო რეალური სოციალური დანაწევრების პროცესი. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია, ჯერ ძალიან შორს ვართ ახალი საზოგადოების სოციალური დედა-უჯრედის, მესაკუთრეთა ფენის ჩამოყალიბებისაგან. დღეს საზოგადოება სოციალურად დაქუცმაცებულია, რითაც შეიძლება აიხსნას ქვეყანაში არსებული ჰიპერტროფირებული პარტიული სისტემა, რომელშიც, იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით, 80-ზე მეტი პოლიტიკური გაერთიანება შედის. პრობლემატურია ეფექტიანად და სრული სოციალური დატვირთვით იმოქმედოს ისეთ სოციალურ და პრაქტიკულ საფუძველზე შექმნილმა პარლამენტმა, რომელიც გარდამავალი ეპოქის ყველა საფეხურს უპასუხებს, თუ არ იქნება ხელისუფლებათა სწორი შერწყმა, სწორი კოორდინაცია.

რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა ტერიტორიულ მოწყობაზე. ეს ის საკითხია, რომლის გამოც საზოგადოებაში მიმდინარეობს როგორც ჯანსაღი, საქართველოს კეთილი მომავლის ფიქრით ნაკარნახევი დისკუსიები, აგრეთვე გამალებული პოლიტიკური მოტივებით ნაკარნახევი კამათიც და ერთგვარი ვულგარიზაციაც. გავითვალისწინეთ რა შექმნილი ვითარება, საზოგადოების გაორებული განწყობა, გადავწყვიტეთ თავი შეგვეკავებინა კონსტიტუციაში სრული ტერიტორიული მექანიზმის ასახვისაგან, ტექსტში ჩაიწერა მხოლოდ ის, რაც, ჩვენი აზრით, საჭიროა საქართველოს, როგორც ერთიანი, სუვერენული, ფედერაციულ საწყისებზე აგებული სახელმწიფოს სრულფასოვანი არსებობისთვის და, ამავე დროს, ხაზი გავუსვით ამ სახელმწიფოს შიგნით ძირითადი ტერიტორიული ერთეულების — აფხაზეთის, აჭარის, ცხინვალის რეგიონის (ყოფილი სამხრეთ ოსეთი) მხარეების არსებობას, ვფიქრობთ, სჯობს ცალკე განისაზღვროს მათი სამართლებრივი სტატუსი და ორგანოთა შექმნის მექანიზმი. რა თქმა უნდა, არავითარ ეჭვს არ იწვევს ამ ეტაპზე რაიონების, ქალაქების, თემების, დაბების დღევანდელი სისტემის არსებობა.

ღრმა ისტორიული ფესვების მქონე მრავალტანჯული ქართველი ერის მატიანეში დღეს შეიძლება ჩაიწეროს კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ფურცელი — შეიქმნას თანამედროვე საზოგადოების პოლიტიკურ-სამართლებრივი საფუძველი — საქართველოს კონსტიტუცია.

ამ ისტორიულ ჟამს მოგმართავთ ყველას — დავივიწყოთ, თუნდაც დროებით, ასე ვთქვათ, ვიწრო პარტიული, თუ პირადი ინტერესები, ერისა და მამულის დღევანდელი და მომავალი თაობების, თუ გნებავთ, კაცობრიობის წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობის შეგრძნებით შევუდგეთ წარმოდგენილი პროექტის განხილვას. ჩვენ გვიყურებს, ჩვენ გველის სრულიად საქართველო. მივმართავ რა პარლამენტს, რა თქმა უნდა, მივმართავ საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომლებმაც თვალ-ყური უნდა ადევნონ ჩვენს მუშაობას და ძალიან დიდი კონსტრუქციული წვლილი შეიტანონ, შეგვეხმიანონ და დაგვეხმარონ ისეთი კონსტიტუციის მიღებაში, როგორიც დღევანდელ საქართველოს და მის მომავალს შეეფერება.

ოფიციალური ფოსტა

მის აღმატებულებას ბატონ ე. ა. შევარდნაძეს, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს

პატივცემულო ედუარდ ამბროსის ძევ!

ნება მიბოძეთ, მადლობა მოგახსენოთ გულთბილი მოლოცვისათვის 1995 წლის 29 აპრილს გამართული რეფერენდუმის შედეგების გამო.

ვსარგებლობ შემთხვევით და მსურს დავადასტურო ჩვენი დაინტერესება ყაზახეთსა და საქართველოს შორის მეგობრული ურთიერთობისა და ორმხრივ ხელსაყრელი თანამშრომლობის შემდგომი განვითარებით.

პატივისცემით,
ნურსულთან ა. ნაზარბაევი.

მის აღმატებულებას ედუარდ შევარდნაძეს — საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს

დიდად პატივცემულო ბატონო ედუარდ!

გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ გულთბილი მეგობრული წერილისათვის, მე ნამდვილად მომხიბლა თქვენთვის დამახასიათებელი გულისხმიერებითა და გულითადობით გამოთქმულმა კეთილმა ტონმა. თქვენგან თურქმენი ხალხისა და პირადად ჩემი ასეთი მაღალი შეფასება განსაკუთრებით სასიამოვნო იყო, რაკი მახსოვს ის რთული გზა, რომლითაც ერთმანეთის გვერდით მივდიოდით უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში.

ჩვენთვის მეტად ძვირფასია თქვენი სიტყვები იმის შესახებ, თუ რა როლს ასრულებს თურქმენეთი დღევანდელი საქართველოს ცხოვრებაში. მართლაც, ახალ-ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები დღეს მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, თითოეულს თავისი პრობლემა აქვს, რომლებიც უსწრაფეს მოწესრიგებას მოითხოვენ.

ამ თვალსაზრისით თურქმენეთიც განიცდის სერიოზულ სირთულეებს საგარეო ვალების გადახდის, შინაგანი ბაზრის ფუნქციონირების ნორმალიზაციის საქმეში. სამწუხაროდ, რაკი ვერ ვხვდებით საერთაშორისო სავალუტო ფონდის სათანადო გაგებას, მხოლოდ ერთმანეთის მხარდაჭერით, ერთმანეთის სირთულეთა და რეალობათა გაგებით შევძლებთ წინსვლას.

სულითა და გულით მოგახსენებთ მადლობას საქართველოში მოწვევისათვის. კმაყოფილებით ვიღებ მოპატიჟებას და, აუცილებლად ვისარგებლებ თქვენთან შეხვედრის შესაძლებლობით, რათა საფუძვლიანად გაგიზიაროთ აზრები ყველა აქტუალურ საკითხზე. ვიზიტის ვადები შეიძლება შევათანხმოთ დიპლომატიური არხებით.

ერთხელ კიდევ მოგახსენებთ მადლობას, გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს და ვადასტურებ თქვენდამი ჩემს დიდ პატივისცემას. მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ თქვენი ხელმძღვანელობით ქართველი ხალხი დაძლევს ყველა სიძნელეს და საქართველოს აყვავებულ სახელმწიფოდ გადააქცევს.

გულწრფელად თქვენი
საფარმურატ ნიაზოვი,
თურქმენეთის პრეზიდენტი.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურს ე. ა. შევარდნაძეს

პატივცემულო ედუარდ ამბროსის ძევ!

ნება მიბოძეთ, გამოვთქვა გულწრფელი მადლობა და მადლიერება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის განვითარების საქმესა და ქალაქ თბილისის აღდგენაში შეტანილი ჩემი წვლილის დიდი დაფასებისათვის — საქართველოს საპატიო მოქალაქის წოდების მონიჭებისათვის.

ჩემთვის ეს დიდი პატივი და სტიმულია იმისათვის, რომ კვლავაც არ დავიშურო ძალ-ღონე ჩვენი კეთილმეზობლური თანამშრომლობის განვითარების, ღრმა ისტორიული ფესვების მქონე რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური, სამეურნეო და კულტურული კავშირურთიერთობის, საქართველოს მცხოვრებლებსა და მოსკოველებს შორის მეგობრული, ადამიანური კონტაქტების განმტკიცებისათვის.

გულწრფელად გისურვებთ თქვენ, საქართველოს რესპუბლიკის მთელ ხალხს მშვიდობას, ბედნიერებას, სიკეთესა და კეთილდღეობას.

ღრმა პატივისცემით,
ი. მ. ლუჟკოვი.

მის აღმატებულებას ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს

პატივცემულო ედუარდ შევარდნაძე!

ნება მიბოძეთ, მადლობა მოგახსენოთ იმისათვის, რომ საქართველოში ჩემი ვიზიტისას, გამონახეთ დრო, ჩემთან შესახვედრად. ძალიან კმაყოფილი ვარ ჩვენი დისკუსიებით. მოველაპარაკე დიდი ბრიტანეთის „ნოუ ჰაუს“-ს ფონდს, დახმარება აღმოუჩინოს საქართველოს ნავთობსადენის საკითხთან დაკავშირებით.

ერთხელ კიდევ დიდ მადლობას მოგახსენებთ ჩემთან შეხვედრისათვის. ვიმედოვნებ, უახლოეს მომავალში, შევძლებ ხელმეორედ ვეწვიო საქართველოს.

ტიმ ეგარი,
დიდი ბრიტანეთის ინდუსტრიისა და ენერგეტიკის მინისტრი.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 25 ივლისს მინისტრთა კაბინეტში ხელი მოაწერეს საქართველოსთვის ევროგაერთიანების მხრიდან ტექნიკური დახმარების გაწევის ხელშეკრულებას საქართველოს სომხეთთან და აზერბაიჯანთან შემაერთებელი რკინიგზის მთავარი მაგისტრალის რეკონსტრუქციის თაობაზე. ხელმოწერაში მონაწილეობდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია, რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარე რეზო ვაშაკიძე და ევროგაერთიანების დელეგაციის ხელმძღვანელი რობერტ ბატერზი.

გივი კიკვაძის ფოტო.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

პარლამენტარის აზრით

ვის მიეჩქარება პარლამენტისკენ?

საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე საგანგებო სხდომაზე იხილება ქვეყნის კონსტიტუციის მიღების საკითხი (კონსტიტუციის პროექტი ქვეყანაში საპრეზიდენტო მმართველობის შემოღებას ითვალისწინებს). ამას უნდა მოჰყვეს პარლამენტის მიერ საარჩევნო კოდექსის მიღება. ერთი სიტყვით, წინ ერთობ რთული მონაკვეთია. ამასთან დაკავშირებით მსურს მკითხველს გავუზიარო რამდენიმე მოსაზრება.

პრეზიდენტის არჩევნები ნოემბერში უნდა გაიმართოს. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ქვეყნის კონსტიტუცია მიიღოს პარლამენტმა და საჭირო არ გახდეს მისი რეფერენდუმზე გატანა. თუ მაინც და მაინც, მაშინ საყოველთაო სახალხო განხილვისთვის შეიძლება გავიტანოთ კონსტიტუციის ზოგიერთი სადაო საკითხი.

მორიგი საპარლამენტო არჩევნების ვადის სწორ განსაზღვრაზე ბევრად არის დამოკიდებული მისი ჩატარების ხარისხი. ჩემი აზრით, საპარლამენტო არჩევნები იმის შემდეგ უნდა გამართულიყო, როცა გაიმართებოდა ადგილობრივი მმართველობის ორგანოების (სოფელი, დაბა, თემი) არჩევნები.

პარლამენტის არჩევნების ყველაზე უკეთეს დროდ მიმაჩნია 1996 წლის მაის-ივნისი. შევეცდები ეს არგუმენტებით დავასაბუთო.

ვიზიარებ მოსაზრებას, რომ რაიონული თვითმმართველობა სახელმწიფო მმართველობის ნაწილია და რაიონის გამგებელი ამავე დროს, სახელმწიფოს მეთაურის რეგიონული რწმუნებულის წარმომადგენელია თავის რაიონში. მას რწმუნებულის წარდგინებით უნდა ნიშნავდეს და ათავისუფლებდეს სახელმწიფოს მეთაური (შემდგომში — ქვეყნის პრეზიდენტი). რაიონული მმართველობითი აპარატი ერთ-ერთ მთავარ სახელმწიფო სტრუქტურად უნდა მივიჩნიოთ, რომლის უფლებები და მოვალეობები კიდევ უნდა გაიზარდოს და ეს ხელისუფლების ცენტრალური აღმასრულებელი ორგანოების უფლებათა დეცენტრალიზაციის გზით მოდის.

ადგილობრივი ორგანოების (სოფლის, დაბის, თემის) არჩევნების ორგანიზაციას გამგეობები ხელმძღვანელობენ. ამ რგოლში არჩევნები საპარლამენტო არჩევნების ორგანიზებულად მოწყობის სამზადისი და მეცადინეობა იქნება, განისაზღვრება პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობა.

რაც შეეხება იმას, თუ რა პრინციპით მოხდეს საქართველოს მომავალი პარლამენტის არჩევა, არ ვიზიარებ მოსაზრებას, რომ პარლამენტი მხოლოდ მაჟორიტარული პრინციპით აირჩეს. დღეს, როცა ქვეყანაში მრავლად არიან „თოფიანი დემოკრატები“ და არსებობს ამომრჩევლებზე ძალდატანების პირობები, პარლამენტის მთლიანად მაჟორიტარული წესით არჩევა სასიკეთო შედეგებს არ მოგვცემს. ამიტომ მაჟორიტარული წესით უნდა ავირჩიოთ მოსახლეობის წარმომადგენლობა ქვეყნის 84 რაიონიდან, ხოლო დანარჩენი 100 დეპუტატი — პროპორციული წესით.

სწორია გადაწყვეტილება, რომ პარტიას, რომელიც ქვეყანაში ამომრჩეველთა 5 პროცენტზე ნაკლებ ხმას დააგროვებს, არ უნდა მიეცეს საპარლამენტო მანდატი. ამ გზით 29 პარტიისაგან შემდგარი ამჟამინდელი „ჭრელი“ პარლამენტი მაქსიმუმ ხუთ პარტიულ წარმომადგენლობამდე შემცირდება, ამასთან — არავითარი დეპუტატთა კომპენსაციის წესით არჩევა (პარლამენტი, ბოლოსდაბოლოს, მივიდა ამ სწორ გადაწყვეტილებამდე)!

ვემხრობი ქვეყნის სამხარეო მოწყობას, იმის მიუხედავად, რომ ამაში ქვეყნის დაქუცმაცების ელემენტებიც შეიძლება იყოს, მაგრამ იმ პროცესთან, რომელიც 70 წლის მანძილზე მიმდინარეობდა ქვეყანაში, ეს საშიშროება შედარებით უმნიშვნელოა, მხედველობაში მაქვს ქვეყნის მმართველობითი აღმასრულებელი ორგანოების გადაჭარბებული ცენტრალიზაცია, ამან პერიფერიებისადმი აგდებულ, არასწორ დამოკიდებულებამდე მიგვიყვანა.

თუ საქართველოში იქნება ქვეყნის ერთიანი თავდაცვისა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მწყობრი სისტემა, მხოლოდ ერთიანი საგარეო ურთიერთობა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორმხრივი დაქვემდებარების სისტემა და რეგიონული რწმუნებული პრეზიდენტის ბრძანებულებით დაინიშნება და არა — აირჩევა, ქვეყნის დაქუცმაცების ნაკლები პირობები შეიქმნება.

უფლება არა მაქვს, მკითხველს მთავარი სათქმელიც არ ვუთხრა, კერძოდ ის, თუ რაში ვხედავ დღეს მოქმედი პარლამენტის ყველაზე მთავარ ნაკლს.

იმის მიზეზი, რომ პარლამენტის შემადგენლობა „ჭრელია“ და პარლამენტართა ერთი ნაწილის შესახებ ამომრჩევლებმა არაფერი იციან, პარლამენტის საარჩევნო დებულებაში უნდა ვეძიოთ, კერძოდ იმათთან, ვინც ეს დებულება შექმნა და დაამტკიცა. ამაში თვით პარლამენტარებს ბრალი არ მიუძღვით.

როცა პარლამენტის შემადგენლობას ვლანძღავთ და ყველაფერს ვაკეთებთ მისი დისკრედიტაციისათვის, რატომ გვავიწყდება, რომ ამ პარლამენტის დიდი ნაწილი ღირსეული ადამიანებისაგან შედგება, ვისაც ქვეყნისათვის ბევრი სასიკეთო საქმე უკეთებია და აკეთებს.

ერთ-ერთ მთავარ ნაკლად ისიც მიმაჩნია, რომ უარი ვთქვით ამომრჩევლებთან ანგარიშის ჩაბარების პრაქტიკაზე და მოვწყდით მოსახლეობას.

ახლა იმათ საყურადღებოდ, ვინც მე და სხვა პარლამენტარები თანამეგობრობაში საქართველოს შესვლაზე მხარის დაჭერის გამო ქვეყნის მტრად გამოგვაცხადა. ვინ არის მტერი და ვინ მოყვარე, ამას ცხოვრება დაადასტურებს, მე კი მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ სნგ-ში შესვლა დაგვაგვიანეთ, მინდა მათ ვკითხო, რამდენ ხანს ველოდეთ დასავლეთიდან შველას, ველოდეთ მანამ, სანამ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა არ შეგვახსენა, რომ უპირველესად რუსეთთან ურთიერთობა მოგვეგვარებინა. შეგვახსენა ისიც, რომ რუსეთთან თითის ქნევით დიალოგი სიკეთეს არ მოგვიტანდა.

ყოველივე ეს უნდა გაიცნობიეროს ამომრჩეველმა, სანამ საარჩევნო ყუთთან მივა. სინდისის წინაშე კომპრომისი დიდი ცოდვაა!

დაბოლოს. დავუშვათ, პრეზიდენტის არჩევნები ცალკე ჩატარდა და ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა დღევანდელ პარლამენტს მოღვაწეობის ვადა 6 თვით გაუგრძელოს... ამაში შეცდომას ვერ ვხედავ. ამით პარლამენტს ახლო პერიოდში აუცილებლად ჩასატარებელი მუშაობისათვის პირობები შეექმნებოდა. მოიხსნებოდა ის ეჭვიც, რომ სახელმწიფოს მეთაური დაინტერესებულია პარლამენტის მოცილებით. პარლამენტი კი გარეკვას, არა მგონია, იმსახურებდეს. თუნდაც იმიტომ, რომ პარლამენტმა, მისი უმრავლესობის ძალისხმევით, სახელმწიფოს მეთაურის ყველა თხოვნა კეთილსინდისიერად შეასრულა. ამის მორიგ მაგალითად 4 ივლისის სხდომის შედეგები შეიძლება ჩაითვალოს, როცა პარლამენტმა კომპრომისული გადაწყვეტილება მიიღო და 5 ნოემბრისათვის პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნები დანიშნა.

არა მგონია, რომ ამ აჩქარებულად დანიშნული არჩევნებით პარლამენტის უკეთესი შემადგენლობა მივიღოთ. აჩქარება უფრო მეტი რისკია, ვიდრე პარლამენტის არჩევნების გადავადება, მით უფრო, რომ თუ ჯერ პრეზიდენტს ავირჩევთ, 6 თვით საპარლამენტო არჩევნების გადატანით მმართველობის ვაკუუმი არ შეიქმნებოდა. ეს პერიოდი საპრეზიდენტო მმართველობის გამოცდაც იქნებოდა.

მაგრამ ეს ზოგიერთ პოლიტიკურ ძალას ხელს არ აძლევს, რადგან პარლამენტის არჩევნების ცალკე დანიშვნის შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მოსახლეობის პოლიტიკური აქტივობა ისეთი მაღალი ვერ იქნება, როგორიც პრეზიდენტის არჩევნების დროს. მათ სწორედ ეს აშინებთ და ამას ნუ ამართლებენ მარტო საარჩევნო კამპანიის ფინანსური ხარჯებით. ეს მწარე რეალობაა.

ისე კი, არ შეიძლება იმ ძალების პოლიტიკურ ამბიციებს აყოლა, რომლებსაც პარლამენტისკენ მოეჩქარებათ.

თამაზ ცინცაძე,
საპარლამენტო ფრაქცია „სამართლიანობის“ თავმჯდომარე.

საქენერგო

ამკაცრებს ღონისძიებებს

22 ივლისს დილიდან საქენერგომ ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყვიტა კახეთის რეგიონს (ცაპრეთის პურკომბინატის გარდა), შიდა ქართლისა და ქვემო ქართლის რეგიონებს და ქალაქ რუსთავს (წყალმომარაგების სისტემის გარდა). ასეთი ქმედების მიზეზი ის იყო, რომ დებიტორებმა საჭიროა გაისტუმრონ მათი ვალები, რომელთა საერთო თანხამ რამდენიმე ასეულ ტრილიონ კუპონს გადააჭარბა. ელექტროენერგიით მომარაგება გუშინ განახლდა, მაგრამ რამდენიმე დღეში, დებიტორი ვალს თუ არ გადაიხდის, საქენერგო დენს ისევ გამორთავს!

საქინფორმი.

სამთა-
ბაპირვე-
ხერხდა.
, ამაში
საზოგა-
ციალურ
ნევდნენ
ელებთან
იმ პე-
იქნა მი-
ადგილზე
, მცირე
თურქე-
ბათუმის
საკითხ-
საც თა-
ურქეთის
ლებული
კარიელი
ამის შე-
ა: თურ-
გადმოსა-
კრომული

77, 78,

და მისი ხელში ჩაგდება უპირველესი მნიშვნელობის ამოცანად უნდა დაისახოს, თუკი კავკასიის ხალხების საბოლოო დაშოშმინება და დამორჩილება სურს, მაგრამ რუს მოხელეებს გამბას გარეშეც ყურადღება ჰქონდათ მიქცეული ამ ადგილისათვის. ამავე ხანებში გენერალი პასკევიჩი ნიკოლოზ პირველს არწმუნებდა, რომ კავკასიის საბოლოო დაპყრობა შეიძლება მოხერხდეს მხოლოდ შავი ზღვის სანაპიროების დაპყრობისა და კოლონიზაციის შემდეგ. მეტად საინტერესოა ამ მხრივ „კავკასიის დიქტატორის“ ა. ერმოლოვის 1820 წელს დაწერილი წერილი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრისადმი. ამ პერიოდში რუსეთის გარნიზონში დიდი სიკვდილიანობისა და დიპლომატიური სიძნელეების გამო რუსეთის საგარეო სამინისტროში დაისვა სოხუმისა და აფხაზეთის თურქებისათვის დაბრუნების საკითხი. ა. ერმოლოვი საგარეო საქმეთა მინისტრს სწერდა იმის შესახებ, რომ სოხუმი წარმოადგენდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რუსეთის დასაყრდენს. იგი გადაჭრით ემუქრებოდა, თუკი სოხუმს თურქებს დაუბრუნებდნენ. სამინისტრომ დააკმაყოფილა ა. ერმოლოვის მოთხოვნა (ა. დიაჩკოვ-ტარასოვი).

ანზორ თოთაძე.

(გაგრძელება იქნება)

ოფიციალური დოკუმენტები

საქართველოს რესპუბლიკის კანონი
ინვალიდთა სოციალური დაცვის შესახებ

ეს კანონი განსაზღვრავს ინვალიდთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის საფუძვლებს და მიზნად ისახავს რესპუბლიკის სხვა მოქალაქეთა თანაბრად უზრუნველყოს ინვალიდთა უფლებების რეალიზაცია, შექმნას ხელსაყრელი პირობები მათი სრულფასოვანი ცხოვრებისა და საზოგადოების ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობისათვის.

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ინვალიდთა სამართლებრივი მდგომარეობის საფუძვლები

საქართველოს რესპუბლიკაში ინვალიდთა სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1975 წლის 9 დეკემბრის დეკლარაციით „ინვალიდთა უფლებების შესახებ“, მის მიერვე 1993 წლის 20 დეკემბერს მიღებული „ინვალიდთათვის თანაბარ შესაძლებლობათა უზრუნველყოფის სტანდარტული წესებით“, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით, ამ კანონითა და სხვა მოქმედი საკანონმდებლო აქტებით.

ინვალიდთა დისკრიმინაცია აკრძალულია და კანონით ისჯება.

მუხლი 2. ცნება „ინვალიდის“ განსაზღვრა

ცნება „ინვალიდი“ აღნიშნავს ადამიანს, რომელსაც დაავადების, ტრავმის, გონებრივი თუ ფიზიკური დეფექტის შედეგად დარღვეული აქვს ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციები ჯანმრთელობის მეტნაკლებად მოშლის გამო, რაც განაპირობებს პროფესიული შრომის უნარის სრულ ან ნაწილობრივ დაკარგვას, ანდა ყოფა-ცხოვრების არსებით გაძნელებას.

ადამიანის ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციების შეზღუდვის სიმძიმის მიხედვით სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის კომისია განსაზღვრავს ინვალიდობის შესაბამის კატეგორიებს.

მუხლი 3. სახელმწიფოს როლი ინვალიდთა სოციალური დაცვის სფეროში

სახელმწიფო უზრუნველყოფს ინვალიდთა სოციალურ დაცვას და უქმნის მათ საჭირო პირობებს ინდივიდუალური განვითარების, შემოქმედებითი და საწარმოო შესაძლებლობების რეალიზაციისათვის.

სახელმწიფო ამ კატეგორიის ბავშვებს უწესებს უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალიზაციის დამატებით გარანტიებს.

მუხლი 4. ინვალიდთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა

ინვალიდთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა უზრუნველყოფილია სასამართლო ან კანონით გათვალისწინებული სხვა წესით.

მუხლი 5. ჟესტების ენა

სახელმწიფო ცნობს ჟესტების ენას პიროვნებათშორისი ურთიერთობის საშუალებად და უზრუნველყოფს აუცილებელი პირობების შექმნას მისი გამოყენებისა და განვითარებისათვის.

მუხლი 6. საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებები ინვალიდთა სოციალური დაცვის სფეროში

თუ საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ამ კანონისაგან განსხვავებული წესები, მაშინ მოქმედებს საერთაშორისო ხელშეკრულების წესები.

თავი II. სოციალური ინფრასტრუქტურით ინვალიდთა შეუფერხებელი სარგებლობისათვის პირობების შექმნა

მუხლი 7. საცხოვრებელი შენობებითა და სოციალური ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტებით ინვალიდთა სარგებლობის უზრუნველყოფა

სახელმწიფო ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები ინვალიდებს უქმნიან პირობებს საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და საწარმოო შენობებით, ტრანსპორტითა და სატრანსპორტო კომუნიკაციებით, კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის საშუალებებით სარგებლობისათვის, თავისუფალი ორიენტაციისა და გადაადგილებისათვის.

მუხლი 8. ინვალიდთა მოთხოვნილებების გათვალისწინება სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობისას

დაუშვებელია დასახლებული პუნქტების დაპროექტება და განაშენიანება, საცხოვრებელი რაიონების ფორმირება, საპროექტო გადაწყვეტილებების შემუშავება, შენობათა და ნაგებობათა, მათ შორის, სასწავლო-საგანმანათლებლო, კულტურულ-სანახაობითი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების, აეროპორტების, რკინიგზის სადგურების, საზღვაო და სამდინარო სატრანსპორტო საშუალებათა კომპლექსებისა და კომუნიკაციების, კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის ინდივიდუალური საშუალებების მშენებლობა და რეკონსტრუქცია, თუ ეს ობიექტები და საშუალებები არ მიესადაგება ინვალიდთა საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს.

მუხლი 9. ინვალიდთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებების უზრუნველყოფა კულტურულ-სანახაობით დაწესებულებებსა და სპორტულ ნაგებობებში

სახელმწიფო მმართველობის რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოები ვალდებული არიან უზრუნველყონ ინვალიდთათვის პირობები, რათა მათ თავისუფლად ისარგებლონ კულტურულ-სანახაობითი დაწესებულებებითა და სპორტული ნაგებობებით, აგრეთვე უზრუნველყონ ისინი სპეციალური სპორტული ინვენტარითა და სხვა საჭირო საშუალებებით.

ჩამოთვლილი მომსახურებით ინვალიდები სარგებლობენ უფასოდ ან შეღავათიანი პირობებით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

აღნიშნული მომსახურებით ინვალიდთა სარგებლობის წესს, პირობებსა და შეღავათებს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

მუხლი 10. საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მონაწილეობა სოციალურ-კულტურული ობიექტებისა და სპორტული ნაგებობების მშენებლობის დაფინანსების, მოწყობილობის შეძენისა და შენახვის საქმეში

საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, საკუთრებისა და მეურნეობრიობის ფორმის მიუხედავად, უფლება აქვთ გაიღონ თანხა ინვალიდთათვის განკუთვნილი სოციალურ-კულტურული ობიექტების და სპორტული ნაგებობების მშენებლობის, მოწყობილობის შეძენისა და შენახვის მიზნით. ეს თანხა არ იბეგრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. ინვალიდთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურება

ინვალიდთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურება, მათ შორის სურსათ-სანოვაგითა და სახალხო მოხმარების საგნებით უზრუნველყოფა, კომუნალური და სხვა სახის მომსახურება ხორციელდება სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ განსაზღვრული წესითა და პირობებით.

მუხლი 14. ინვალიდთა რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამა

ინვალიდთა სამედიცინო, პროფესიული და სოციალური რეაბილიტაცია ხორციელდება რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამით, რაც განისაზღვრება საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ მოწყობილი სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის საფუძველზე.

ინვალიდთათვის რეკომენდებულ რეაბილიტაციის ინდივიდუალურ პროგრამაში განისაზღვრება სარეაბილიტაციო ღონისძიებების კონკრეტული მოცულობა-სახეობანი და ვადები, აგრეთვე სოციალური დახმარების სახეობანი.

მუხლი 15. რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამების შესრულების სავალდებულობა

ინვალიდთა რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამა წარმოადგენს დოკუმენტს, რომლის შესრულება სავალდებულოა შესაბამისი სახელმწიფო და სხვა საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის.

მუხლი 16. ინვალიდთა სარეაბილიტაციო დაწესებულებები

სახელმწიფო მმართველობის რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოები, ინვალიდთა სარეაბილიტაციო დახმარების მოთხოვნებისა და ადგილობრივი პირობების შესაბამისად, ქმნიან სარეაბილიტაციო, მათ შორის სამეცნიერო-საწარმოო ცენტრების ქსელს, აღდგენითი მკურნალობის განყოფილებებს ამბულატორიულ და სტაციონარულ სასწავლო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში; სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით და სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებებს, საწარმოებსა და ინვალიდთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებებს.

თავი IV. ინვალიდთა განათლება და პროფესიული მომზადება

მუხლი 17. ინვალიდთა განათლებისა და პროფესიული მომზადების პირობების უზრუნველყოფა, ამ კატეგორიის ბავშვთა სკოლამდელი აღზრდა

ინვალიდებს სახელმწიფო უქმნის აუცილებელ პირობებს განათლებისა და პროფესიული მომზადებისათვის.

განათლების ორგანოები ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებთან ერთად ვალდებული არიან უზრუნველყონ ამ კატეგორიის ბავშვთა სკოლამდელი და სკოლის გარეშე აღზრდა მათთვის ჯეროვანი სარეაბილიტაციო დახმარების გაწევის ხელსაყრელი შესაძლებლობების შექმნის მიზნით, აგრეთვე ინვალიდთათვის საშუალო-სპეციალური და უმაღლესი განათლების მიღება რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამის შესაბამისად.

მუხლი 18. ინვალიდთა ზოგადი საშუალო, საშუალო-სპეციალური და უმაღლესი განათლება, ამ კატეგორიის ბავშვთა შინ აღზრდა და სწავლება

ინვალიდები ზოგად საშუალო, საშუალო-სპეციალურ და უმაღლეს განათლებას იღებენ ზოგად სასწავლო დაწესებულებებში, საჭიროებისას — შესაბამის სპეციალურ სასწავლო დაწესებულებებში.

სასწავლო მეცადინეობის ორგანიზება ხდება აგრეთვე იმ კატეგორიის ბავშვთათვის, რომლებიც მკურნალობენ სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების სტაციონარებში ან სარეაბილიტაციო დაწესებულებებში.

თუ შეუძლებელია ამ კატეგორიის ბავშვთა აღზრდა და სწავლება ზოგად ან სპეციალურ სკოლამდელ სასწავლო დაწესებულებებში, მშობლების სურვილის შესაბამისად, მათი აღზრდა და სწავლება ხდება ოჯახში. ამასთან, ერთ-ერთი მშობლის ან მისი შემცვლელი პირის მატერიალური უზრუნველყოფა და შეღავათები განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

შესაბამისი სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებები დახმარებას უწევენ მშობლებს ან მათ შემცვლელ პირებს ამ კატეგორიის ბავშვთა შინ სწავლებაში.

ამ კატეგორიის ბავშვთა ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარების, მათთვის საზოგადოებრივი აქტიურობის, შრომის ინტერესის ჩანერგვის, მეცნიერებასთან, ტექნიკასთან, ხელოვნებასთან, სპორტთან დაახლოების მიზნით განათლებისა და სხვა სახელმწიფო ორგანოები ვალდებული არიან უზრუნველყონ ამ კატეგორიის სკოლისგარეშე აღზრდის სათანადო ორგანიზაცია.

სტაციონარულ დაწესებულებებში ხანგრძლივად (არამუდმივად) მყოფი ამ კატეგორიის ბავშვებისთვის აღნიშნულმა დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ უწყვეტი აღზრდა და სწავლება სოციალურ-საყოფაცხოვრებო და შრომით ადაპტაციასთან ორგანული კავშირით.

მუხლი 19. ინვალიდთა პროფესიული მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება

ინვალიდთა პროფესიულ მომზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამების შესაბამისად ახორციელებენ სპეციალიზებული ან ზოგადი ტიპის სასწავლო დაწესებულებები, საწარმოები და ორგანიზაციები სოციალური დახმარების ორგანოებთან ერთად. ინვალიდთა მატერიალური უზრუნველყოფა პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პერიოდში ხდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრული წესითა და პირობებით.

მუხლი 20. ინვალიდთა განათლების, პროფესიული მომზადებისა კვალიფიკაციის ამაღლების ფორმები

ინვალიდთა განათლება, პროფესიული მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება ხორციელდება სხვადასხვა ფორმით, მათ შორის დასწრებულად, დაუსწრებლად, ექსტერნად, სპეციალურ ჯგუფებში, ოჯახებში სწავლების გზითა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, ან სწავლების ჩათვლით.

თავი V. ინვალიდთა შრომა

მუხლი 21. ინვალიდთა შრომის უფლებების რეალიზაცია

ინვალიდებს, თავიანთი შემოქმედებითი და საწარმოო შესაძლებლობების რეალიზაციის მიზნით და რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამის შესაბამისად, უფლება აქვთ იმუშაონ შრომის ჩვეულებრივი პირობების საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში საკუთრებისა და მეურნეობრიობის ფორმის მიუხედავად, სპეციალიზებულ საწარმოებში, საამქროებსა და უბნებზე, სადაც გამოიყენება ინვალიდთა შრომა, აგრეთვე ეწეოდნენ კანონით ნებადართულ ინდივიდუალურ და სხვა სახის შრომით საქმიანობას. დაუშვებელია ინვალიდისთვის შრომითი ხელშეკრულების დადებაზე ან სამსახურებრივ დაწინაურებაზე უარის თქმა, ადმინისტრაციის ინიციატივით მისი დათხოვნა ან ინვალიდის თანხმობის გარეშე სხვა სამუშაოზე გადაყვანა ინვალიდობის მოტივით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის დასკვნით მის ჯანმრთელობას ვნებს პროფესიული მოვალეობის შესრულება ან საშიშროება ექმნება სხვა პირთა ჯანმრთელობასა და შრომის უსაფრთხოებას.

მუხლი 22. ინვალიდთა შრომის პირობები

საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში დასაქმებულ ინვალიდთათვის რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამის შესაბამისად იქმნება შრომის სათანადო პირობები.

კოლექტიური და ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებებით დადგენილი შრომის პირობები, მათ შორის შრომის ანაზღაურება, სამუშაო და დასვენების დროის რეჟიმი, წლიური და დამატებითი შვებულებების ხანგრძლივობა არ უნდა აუარესებდეს ან ზღუდავდეს ინვალიდთა მდგომარეობასა და უფლებებს სხვა მუშაკებთან შედარებით.

სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები ეხმარებიან შინ ან ინდივიდუალურად მომუშავე ინვალიდებს აღნიშნული საქმიანობისათვის არასაცხოვრებელი შენობების გამოყოფაში, ნედლეულის შეძენასა და პროდუქციის გასაღებაში.

შრომითი დასახიჩრებით ან პროფესიული დაავადებით ინვალიდად ცნობილ მოქალაქეებს მიყენებულ ზარალს უნაზღაურებენ ბრალეული საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები (საკუთრებისა და მეურნეობრიობის ფორმის მიუხედავად) საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 23. ინვალიდთა მომვლელების შეღავათები და უპირატესობანი

ოჯახის წევრებს ან გარეშე პირთ, რომლებიც უვლიან პირველი ჯგუფის ინვალიდებს, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში აქვთ შეღავათები (სამუშაო დროის, დასვენების, შვებულების და სხვა) საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

თავი VI. ინვალიდთა სოციალური დახმარება

მუხლი 24. ინვალიდთა სოციალური დახმარება, სოციალური დახმარების სახეობანი

ინვალიდებს სოციალურად ეხმარებიან როგორც ფინანსებით (პენსია, დახმარება და სხვ.), ისე ტექნიკური და სხვა საშუალებებით, მათ შორის, უზრუნველყოფენ ავტომობილებით, სავარძელ-ეტლებით, საპროთეზო-ორთოპედიული ნაკეთობებით, სპეციალური შრიფტის ნაბეჭდი გამოცემებით, ხმის გამაძლიერებელი აპარატურითა და სიგნალიზაციებით, აგრეთვე სამედიცინო, სოციალური და პროფესიული რეაბილიტაციის განხორციელებითა და საყოფაცხოვრებო მომსახურებით.

ინვალიდთა პენსიებითა და დახმარებით უზრუნველყოფის წესი განისაზღვრება საპენსიო და სოციალური დაზღვევის კანონმდებლობით.

ინვალიდთა სამკურნალწამლო, ტექნიკური და სხვა საშუალებებით უზრუნველყოფა, აგრეთვე საყოფაცხოვრებო მომსახურება ხორციელდება უფასოდ ან შეღავათიანი პირობებით საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 25. ინვალიდთა უზრუნველყოფა ტექნიკური და სხვა საშუალებებით

ინვალიდთა უზრუნველყოფა ტექნიკური და სხვა საშუალებებით ხდება რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამის შესაბამისად, უფასოდ ან შეღავათიანი პირობებით.

თუ სახელმწიფო ორგანოებს არ შეუძლიათ მისცენ ინვალიდებს რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამით გათვალისწინებული ტექნიკური ან სხვა საშუალებანი, ან ინვალიდებმა იგი შეიძინეს საკუთარი სახსრებით, მათ ეძლევათ კომპენსაცია საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 26. შინ მომსახურება, ინვალიდთა სოციალური დახმარების სტაციონარული დაწესებულებანი

ინვალიდებს, რომლებსაც მომვლელი ან დამხმარე სჭირდებათ, სოციალური მომსახურების ორგანოები უნიშნავენ სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურებას ბინაზე ან სტაციონარულ დაწესებულებებში.

სახელმწიფო ხელს უწყობს სოციალური დახმარების სტაციონარული დაწესებულებების ქსელის განვითარებას იმ კატეგორიის ინვალიდთათვის, რომლებსაც ესაჭიროებათ მომვლელი.

მუხლი 27. პანსიონატებსა და სოციალური დახმარების სხვა სტაციონარულ დაწესებულებებში მყოფ ინვალიდთა უფლებები

სახელმწიფო საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფს ინვალიდებს რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამის შესაბამისად და მათი სურვილის გათვალისწინებით. პანსიონატებში ან სოციალური დახმარების სხვა სტაციონარულ დაწესებულებებში ინვალიდთათვის შექმნილმა პირობებმა უნდა უზრუნველყონ მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალიზაცია.

თუ სარეაბილიტაციო ღონისძიებების შედეგად საჭირო აღარ არის ინვალიდთა ყოფნა პანსიონატში ან სოციალური დახმარების სხვა სტაციონარულ დაწესებულებაში, სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოები მათ უზრუნველყოფენ საცხოვრებელი ფართობით, მათ შორის ობოლ ან მშობლების მზრუნველობას მოკლებულ ამ კატეგორიის ბავშვებს — სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 28. ინვალიდთა სოციალური დახმარების სახელმწიფო ორგანოები

ინვალიდებს სოციალურ დახმარებას უწევენ სახელმწიფო ორგანოები საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის სამსახურების (სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის კომისიები, საექიმო-საკონსულტაციო კომისიები, სპეციალიზებული საექსპერტო სამსახურები) დასკვნის საფუძველზე.

მუხლი 29. სოციალური დახმარების დაფინანსების წყაროები

სოციალური დახმარება ხორციელდება რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრებით, აგრეთვე ორგანიზაციათა და მოქალაქეთა ნებაყოფლობითი შენატანებით.

ის საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც სოციალური დახმარების ღონისძიებებს აფინანსებენ, იბეგრებიან შეღავათიანი პირობებით საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

თავი VII. ინვალიდთათვის სპორტის შესაფერის სახეობათა დანერგვა და განვითარება

მუხლი 30. ინვალიდთათვის სპორტის შესაფერის სახეობათა დანერგვა და განვითარება

შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები ინვალიდთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, აგრეთვე სხვა დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ერთად, უზრუნველყოფენ ინვალიდთათვის სპორტის შესაფერის სახეობათა დანერგვასა და განვითარებას.

თავი VIII. ინვალიდთა საზოგადოებრივი გაერთიანებები

მუხლი 31. ინვალიდთა საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნისა და საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დაცვის, თანადგომისა და მომსახურების მიზნით, ინვალიდებსა და მათ წარმომადგენლებს უფლება აქვთ შექმნან საზოგადოებრივი გაერთიანებები, მათ შორის სხვადასხვა ფონდები საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

მუხლი 32. ინვალიდთა საზოგადოებრივი გაერთიანებებისათვის გათვალისწინებული შეღავათები

ინვალიდთა საზოგადოებრივი გაერთიანებები, აგრეთვე მათი ფინანსური სახსრებით შექმნილი იურიდიული პირის სტატუსის მქონე ერთეულები თავისუფლდებიან სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადებისაგან, თუკი მათი საქმიანობის შედეგად ამ მუხლით განსაზღვრული შეღავათებით მიღებული მთელი შემოსავალი ხმარდება აღნიშნულ გაერთიანებათა წესდებებით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას და ირიცხება ამ უკანასკნელთა ანგარიშზე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური
ედუარდ შევარდნაძე,

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1995 წლის 14 ივნისი.

ბული კაცის შეგროვება შეგვიძლია საჭიროების შემთხვევაში“.

მოსკოვის გაზეთები სოხუმში

სეპარატისტთა საინფორმაციო საშუალებები დიდი ხნის განმავლობაში ჩიოდნენ, რომ აფხაზეთი და, კერძოდ, სოხუმი განიცდის ინფორმაციულ შიმშილს, რადგან სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ ახერხებენ რუსეთის ცენტრალური გაზეთების ჩამოტანას.

აფხაზური რადიოს ცნობით, რამდენიმე დღის წინათ, დიდი ხანგამოშვების შემდეგ, სოხუმის საგაზეთო ჯიხურებში გამოჩნდა გაზეთები „იზვესტია“, „პრავდა“, „არგუმენტი ი ფაქტი“ და სხვა გამოცემები.

თენგიზ პაპკორია.

გულშემატკივრები დიდი ინტერესით ელოდნენ ვაშინგტონში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის ფინალს ანდრე აგასისა და სტეფან ედბერგს შორის, მაგრამ მოსალოდნელი ბრძოლა არ შედგა, ამერიკელმა ჩოგბურთელმა აშკარად დაჯაბნა მეტოქე და გახდა ამ საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული.

ამ გამარჯვებით აგასიმ კიდევ უფრო გაზარდა სხვაობა რეიტინგში უახლოეს მდევრებთან. მეორე ადგილს ინარჩუნებს პიტ სამპრასი (აშშ), ხოლო მესამეზე გადავიდა ავსტრიელი თომას მუსტერი, რომელმაც ამ ადგილიდან ჩამოაქვეითა გერმანელი ბორის ბეკერი.

ფინალი: ესპანეთი — აშშ

ფედერაციის თასის ფინალში, რომელიც თამაშდება ჩოგბურთელ ქალთა შორის, გავიდნენ ესპანეთისა და აშშ-ს ნაკრებები, რომლებმაც ნახევარფინალებში, ერთნაირი ანგარიშით, 3-2 დაამარცხეს შესაბამისად გერმანიისა და საფრანგეთის ქალთა ნაკრები გუნდები.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

გროზნო:
„ტექნიკური შესვენება“ შაბათამდე.

ორ კვირაზე მეტია, რაც ჩეჩნეთის რესპუბლიკის დედაქალაქ გროზნოში ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის მისიის შენობაში მიმდინარეობს მოლაპარაკება რუსეთის სამთავრობო დელეგაციასა და ჯოხარ დუდაევის წარმომადგენლებს შორის ჩეჩნეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების თაობაზე, რომელიც ფინიშს უახლოვდება. ჩეჩნეთის მომავალი სტატუსის ირგვლივ უთანხმოების მიუხედავად მხარეებს თითქოს არ აეჭვებთ, რომ მოლაპარაკება გონივრული კომპრომისით უკვე ორ-სამ-ოთხ დღეში მაინც უნდა დამთავრდეს. არცერთ მხარეს კონფლიქტის გაგრძელება, საომარი მოქმედების განახლება ხელს არ აძლევს — რუსეთს რთული და მწვავე შინაპოლიტიკური, ეკონომიკური და საგარეო-პოლიტიკური მოსაზრებებით, ჩეჩნეთის მხარეს — მოსახლეობის განადგურების რეალური საფრთხის გამო და იმის სულ უფრო მეტი გააზრებით, რომ რუსეთის დღევანდელი და, შესაძლოა, უფრო მეტად რუსეთის ხვალინდელი ხელმძღვანელები ვერ იკისრებენ პასუხისმგებლობას, ტრადიციული, ისტორიული, პოლიტიკური თუ სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე, რუსეთის ფედერაციის დეზინტეგრაციის პროცესის დაწყებაზე, რაც ჩეჩნეთის მაგალითზე რეალურად მიაჩნიათ.

რუსეთის პრემიერი ვიქტორ ჩერნომირდინი საჯაროდ აცხადებს, რომ იგი გროზნოს მოლაპარაკებაზე კომპრომისების მომხრეა, მაგრამ არის მიჯნა, რომელსაც ვერ გადალახავს — რუსეთის სახელმწიფოს მთლიანობა, რომ კომპრომისი შესაძლებელია საშინაო ცხოვრების ორგანიზაციისა და ხელისუფლების საკითხებში, „ჩეჩნეთი რუსეთის რეგიონია და იქ წესრიგი უნდა დავამყაროთ“. პრემიერმა ისიც თქვა, ჩატარდება გამოძიება ჯოხარ დუდაევისა და მისი მომხრეებისათვის იარაღის უკანონო მიყიდვასთან დაკავშირებით. მან დაადასტურა, რომ მოსკოვში გარკვეულ წრეებს არ სურთ ჩეჩნეთში მშვიდობა, პრემიერმა გამორიცხა ჩეჩნეთში ხელისუფლების სათავეში ჯოხარ დუდაევის მეორედ მოსვლის შესაძლებლობა.

რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მეთაურმა სერგეი ფილატოვმა თქვა: გროზნოს მოლაპარაკებაზე აუცილებელია, რაც შეიძლება მალე ხელი მოაწერონ ოქმს, „რომლის ყველა ფორმულა და პოზიცია 99 პროცენტით შეთანხმებულია რუსეთისა და ჩეჩნეთის მხარეთა შორის“. მისი აზრით, ჯოხარ დუდაევის მომხრეთა დელეგაცია აჭიანურებს ოქმზე ხელის მოწერას, უცდის რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს პროცესის დამთავრებას, რომელმაც უნდა გამოიტანოს ვერდიქტი, თუ რამდენად შეესაბამებოდა კონსტიტუციას და კანონიერი იყო რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის ბრძანებულებები და მთავრობის გადაწყვეტილება ჩეჩნეთში „კანონიერებისა და წესრიგის აღსადგენად“, რასაც ჩეჩნეთში ფედერალური ჯარების შეყვანა მოჰყვა.

ორშაბათს, გროზნოში განახლებული მოლაპარაკების წინ, ორივე მხარე მოელოდა, რომ იგი დასკვნითი ოქმის ხელმოწერით დამთავრდებოდა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. ჟურნალისტებთან დელეგაციის წარმომადგენლებმა წინააღმდეგობრივი განცხადებები გააკეთეს. ჩეჩნეთის დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა, ჯოხარ დუდაევის მთავრობის ყოფილმა კულტურის მინისტრმა ახმედ ზაკაევმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ მისი აზრით ხელმოწერილი იქნებოდა მხოლოდ სამხედრო საკითხთა ბლოკი, რუსეთის სამთავრობო დელეგაციის ხელმძღვანელმა ვიაჩესლავ მიხაილოვმა განაცხადა: „ჩვენ ოქმზე ვფიქრობთ, თუ მას ხელი მოვაწერეთ, მაშინ შესაძლებლობა გვექნება ხელი მოვაწეროთ შეთანხმებასაც“.

გარკვეულად სკეპტიკური იყო ჩეჩნეთის დელეგაციის ხელმძღვანელის უსმან იმაევის განწყობილება, როცა შაბათს ჯოხარ დუდაევისაგან სრული უფლებამოსილება მიიღო მოლაპარაკების საწარმოებლად, იმაევი დაპირებას იძლეოდა, რომ პოლიტიკური საკითხების დოკუმენტების პაკეტი იმავე დღეს იქნებოდა ხელმოწერილი, მაგრამ, როგორც ჩანს, მასზე ზემოქმედება მოახდინა თვით ჯოხარ დუდაევის გამოსვლამ შაბათს გვიან ღამით იატაკქვეშეთის ტელევიზიით გროზნოში, რომელშიც მან განაცხადა, მოლაპარაკებაზე არაფერი დადებითი არ მოხდა და, ალბათ, არც შედეგიანი იქნებაო, იმაევმა თქვა, „დუდაევი დელეგაციის წევრი როდიაო“. საქმე ისე გამოიყურება, რომ შეიმჩნევა მოლაპარაკების გარკვეულად გაჭიანურების ტაქტიკა, რაც ასახავს უთანხმოებას ჩეჩენ ხელმძღვანელთა შორის. იმაევმა ასე აუხსნა ჟურნალისტებს შეფერხების მიზეზები: „მოლაპარაკება ჭიანურდება, ჯერ ერთი, იმის გამო, რომ ჩეჩნეთის რესპუბლიკის სტატუსის ფორმულირება ორივე მხარეს უნდა აძლევდეს ხელს და, მეორე, რესპუბლიკაში ხელისუფლების სტრუქტურის საკითხი სადაო რჩება“.

რუსეთის მხარე სთავაზობს ჩეჩნეთის სტატუსის განხილვას მას შემდეგ, რაც ამ წლის ბოლოს ჩეჩნეთში არჩევნები გაიმართება. ამასთანავე მიაჩნია, რომ ნებისმიერ შემთხვევაში სტატუსის საკითხი უნდა გადაწყდეს რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის ფარგლებში. დუდაეველები კი დაჟინებით მოითხოვენ, მოსკოვმა ჯერ ცნოს რუსეთისაგან ჩეჩნეთის სრული დამოუკიდებლობა და მხოლოდ ამის შემდეგ გამოავლენს ჩეჩენი ხალხი არჩევნებში თავის დამოკიდებულებას რესპუბლიკის სუვერენიტეტის საკითხზეო. ძალზე მწვავეა პოლიტიკური ბლოკის მეორე საკითხიც — ჩეჩნეთის მომავალი მთავრობის შექმნა, აღნიშნავენ, რომ მოლაპარაკების მონაწილეთა ვიწრო წრეში განიხილებოდა რესპუბლიკაში „კოალიციური მთავრობის“ შექმნის საკითხი, მაგრამ რუსეთის სამთავრობო დელეგაციის მოადგილემ არკადი ვოლსკიმ ეს ინფორმაცია უარყო.

ამრიგად, მოულოდნელი არ იყო მოლაპარაკებაზე შაბათამდე „ტექნიკური შესვენების“ გამოცხადება უმაღლეს ხელმძღვანელობასთან კონსულტაციების გასამართავად. რუსეთის სამთავრობო დელეგაცია მოსკოვს გაემგზავრა.

გროზნოში მოლაპარაკების მიმდინარეობა ადასტურებს, რომ რუსეთის არც დღევანდელი, არც მომავალი ხელმძღვანელობა, მით უმეტეს დეკემბრის საპარლამენტო და მომავალი წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ და, რუსეთის ტრადიციულ პოლიტიკასთან დაკავშირებით, არ დათანხმდება ჩეჩნეთის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობიდან გამოსვლას. ამას თვით რუსეთის ფედერაციის დეზინტეგრაციის პროცესის დაწყებად მიიჩნევენ, რისი მაგალითი იუგოსლავიის ფედერაციის დაშლა გახდა, აქედან გამომდინარე ყველა შედეგებით.

ირაკლი ჯაფარიძე.

შვიდეულის ლაშქრობა პარიზის წინააღმდეგ

ევროკავშირის აღმასრულებელმა ორგანომ — ევროპის კომისიამ, საფრანგეთის მთავრობას მოსთხოვა სრული ინფორმაცია იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც პარიზმა მიიღო გარემოს დასაცავად ბირთვული გამოცდების განახლებისას. ეს მოთხოვნა ჩამოყალიბებულია წერილში, რომელიც ევროკომისიის წევრებმა გაუგზავნეს საფრანგეთის ხელმძღვანელობას. უფრო ადრე, ევროკავშირის შვიდი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა გაილაშქრეს საფრანგეთის განზრახვის წინააღმდეგ განაახლოს სექტემბერში თავის პოლიგონზე, წყნარ ოკეანეში ბირთვული გამოცდები. რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ თავის განცხადებაში აგრეთვე მოუწოდა საფრანგეთის პრეზიდენტს და საფრანგეთის პარლამენტს უარი თქვან წყნარი ოკეანის სამხრეთში ბირთვული აფეთქებების სერიის ჩატარებაზე.



მთელს მსოფლიოში ნეგატიური გამოძახილი ჰპოვა საფრანგეთის მთავრობის გადაწყვეტილებამ განაახლოს ბირთვული გამოცდები

ნახ. „ეპოქა“-დან, სანტიაგო

ელმწიფოს მეთაურის
ალებები — კონტროლზე

ენ ალპებში დასეირნობ, კი მადნობს ივლისი"...

ე გაშლილ სუფრასთან
და სიმღერა, ბოლოხანს
ტომლაც, მეთაურის დავა-
ის შესრულებას თვალს
ადევნებ, მხოლოდ მაშინ
რება".
რად, სოციალურად დაუ-
ოჯახების ბავშვთა დასვ-
ა და გაჯანსაღებაზე ჩვე-
ბლიური მთავრობის ზრუ-
50-იანი წლების პოპულა-
სიმღერა გამახსენა...
აურის განკარგულება, რის
ველზეც მოსწავლეთა და
ენტთა საზაფხულო არდა-
ის ორგანიზების სახელმ-
კომისია შეიქმნა, 15 მა-
არის დათარიღებული.
სიას 5 დღის ვადაში უნ-
ემუშავებინა საზაფხულო
ვების ჩატარების სახელ-
ებრივი ხელშეწყობის ღო-
ბათა გეგმა და გრაფიკი.
ითხი რომ ფრიად სერ-
ლია, დრო კი ცოტაა" ამ-
რემიერის რეზოლუციაც
ურებს, მაგრამ საბრალო
ლუციას ქვემოთ იმდენი
ური აქვს ჩასახვლელი,
ოიტებს კისერს — არავინ
კატასტროფის მიზეზი კი
დ ოქროყანისა და წყნეთ-
ავი, ან ალპებისა და კარ-
ის გრილი სიო იქნება.
აქლემი და სად გალიაო,
ბათ ხალხური ზეპირსიტყ-
ბის ამ უკვდავ ნიმუშს
რცნიან ზემო და ქვემო
ურებზე მდგომნი (უკაც-
მსხდომნი). დიახ, ან-
თანახმად, როგორც აქლ-
რ შეიძლება გამოამწყვდ-
ალიაში, ისე დაუწერელი
ის თანახმად არ შეიძლე-
თაურის დავალებების შე-
ლებლები ახლა თბილისში
ნენ ღამეს და ფუმფულა
წვებს კოლო-ბუზებს აჭმევინებდნენ. მამებიც და მათი შვილებიც ივლისის ხვატს რომ შეეწუხებინა, იქნებ სხვათა შვილების ბედზეც დაფიქრებულიყვნენ.

თურმე „სახელმწიფო კომისია და მის მიერ განსაზღვრული სამუშაო ჯგუფი გარკვეულ საქმიანობას ახორციელებენ სახელმწიფოს მეთაურის განკარგულების შესასრულებლად, კომისია თავის სხდომებზე სისტემატურად იხილავს საზაფხულო არდადეგების მზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს".

წაიკითხეთ მეთაურის აპარატში მინისტრთა კაბინეტიდან გაგზავნილი თხოვნა და თუ ოხვრასავით არ აღმოგხდებათ 50-იანი წლების პოპულარული სიმღერა: „შენ წალვერში დასეირნობ, მე კი — მადნობს ივლისი..." მაშასადამე, საკურორტო სეზონს თქვენც უმაღლეს დონეზე ატარებთ.

აი ისიც.

„გთხოვთ სახელმწიფოს მეთაურის განკარგულების შესრულების ვადა გაგვიგრძელოთ ბავშვთა და სტუდენტთა საზაფხულო არდადეგების დამთავრებამდე. განკარგულების შესრულების შესახებ გაცნობებთ მ. წ. 20 სექტემბრამდე".

?!

მართალია, ქვეყანას უჭირს, მატერიალური სახსრების უქონლობის გამო უამრავი პრობლემა გადაუჭრელია, მაგრამ საქმე ეხება ნაკლებადუზრუნველყოფილი მოსწავლე-ახალგაზრდობის დასვენებას, მათ ჯანმრთელობას. ჭეშმარიტი პატრიოტები ნემსის ყუნწში უნდა გამძვრალიყვნენ და ბანაკები და სანატორიუმები დაეფინანსებინათ, რომ უმკაცრესი ზამთარგამოვლილი, სიცივისა და შიმშილობისაგან დასნეულებული ბავშვებისათვის სულის მოთქმის საშუალება მიეცათ. განა მილიონები არ იხარჯება უმიზნოდ, განა ზოგიერთი თანამდებობის პირის სიამოვნებას, მათი ოჯახების კეთილდღეობას არ ხმარდება ის თანხები, რასაც ქვეყნისა და ხალხის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსაყვანად კეთილისმსურველნი გვაძლევენ? დღეს ეს საქართველოში ხომ დიდ-პატარამ იცის. მაშ, რა უსახსრობაზეა ლაპარაკი, თუ გული გულობს, თუ კუპონებზე მცხოვრები ოჯახის ბავშვსა თუ ახალგაზრდაში შენი ქვეყნის მომავალს ხედავ? ვაი, რომ ორივე თვალი მხოლოდ „თავისად მაყურებლად" იხედება.

ლეილა კოშკაძე.

პარტიებსა და მოძრაობებში

რეკომენდაციები

დემოკრატია და თანამედროვე საქართველო

საქართველოს სოციალური პროგრესის სამეცნიერო საზოგადოებამ ამას წინათ მოაწყო დისკუსია თემაზე „დემოკრატია და თანამედროვე საქართველო". დისკუსიის მუშაობაში მონაწილეობდნენ მეცნიერებათა აკადემიის, დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. ერთი მხრივ, შეაფასეს დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე საქართველოში შექმნილი ვითარება, ხოლო, მეორე მხრივ, მისი შემდგომი სრულყოფისათვის წამოაყენეს წინადადებები და რეკომენდაციები.

დისკუსიამ რელიეფურად წარმოაჩინა, რომ საქართველოში ნელი ტემპით მიმდინარეობს დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის ძირითადი სტრუქტურების — საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ჩამოყალიბების პროცესი; დღემდე მიღებული არ არის კანონი ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ. სამწუხაროდ, ადგილობრივი ხელისუფლების არჩევნები საერთოდ არ გამართულა, ხოლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს საარჩევნო კანონი არ გამოხატავს მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესებს და დესტრუქციულ ძალებს შესაძლებლობას აძლევს შეაღწიონ პარლამენტში.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება კანონი პოლიტიკური პარტიების შესახებ. პარტიების სიმრავლეს დიდი ზიანი მოაქვს ერის ერთიანობისა და დემოკრატიული სახელმწიფოს სტრუქტურების ჩამოყალიბებაში. პროფკავშირმა ფაქტობრივად მუშაობა შეწყვიტა, რასაც საწარმოებსა და დაწესებულებებში თვითნებობა და ქაოსი მოჰყვა. მუშა-მოსამსახურეთა ინტერესებს არავინ აღარ იცავს. ზოგიერთი შრომითი კოლექტივის ხელმძღვანელი ანგარებით იყენებს შექმნილ ვითარებას და სახელს უტეხს დემოკრატიას.

დისკუსიის მონაწილეებმა პარლამენტში წარსადგენად მიიღეს შემდეგი რეკომენდაციები:

1. პარლამენტმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს კანონი ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ და სასწრაფოდ მოაწყოს არჩევნები. ქვრთვის ძირეულ რგოლში ხალხის ხელისუფლების დამკვიდრება ნაყოფიერ გავლენას მოახდენს ხელისუფლების სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაზე, ქვეყნის სტაბილიზაციაზე.

2. საზოგადოებას საჭიროდ მიაჩნია საარჩევნო კანონში შემდეგის გათვალისწინება: ა) დეპუტატობის კანდიდატმა საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინოს საერთო ჯანმრთელობის, მათ შორის ფსიქიკური სრულფასოვნების ცნობა, აგრეთვე დეკლარაცია თავის შემოსავლებზე. შემოსავლის დაფარვის შემთხვევაში მას ეუწყდება სადეპუტატო უფლებამოსილება; ბ) დეპუტატობის კანდიდატმა და პარტიამ წარდგენილ პროგრამაში პასუხი უნდა გასცენ შემდეგ კითხვებს: რა ტიპის სახელმწიფოს მშენებლობას დაუჭერს მხარს და როგორ აქვს გაცნობიერებული მისი ძირითადი არსი, რა მიაჩნია ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის გზად და როგორ აქვს გააზრებული მისი განხორციელების მექანიზმი. ამომრჩევლები და პარტიები უფლებამოსილი არიან გამოიწვიონ პარლამენტიდან მათ მიერ წარგზავნილი დეპუტატები; გ) საარჩევნო კამპანიის პერიოდში დაუშვებელია დეპუტატობის კანდიდატის ან პარტიის მიერ პირდაპირ ან დაპირების გზით ამომრჩეველთა ხმების მოსყიდვა. ამის დადასტურების შემთხვევაში როგორც დეპუტატობის კანდიდატი, ისე პარტია უნდა ამოვიღოთ საარჩევნო ბიულეტენიდან; დ) არჩევნებში ფალსიფიკაციის თავიდან ასაცილებლად, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები წინაღამეს ხელს აწერენ საარჩევნო ბიულეტენებს. ხელმოუწერელი ბიულეტენი ბათილად ითვლება; ე) პარტიებს, რომლებსაც არაოფიციალური შეიარაღებული ფორმირებანი ჰყავთ, ერთმევათ არჩევნებში დეპუტატობის კანდიდატების წამოყენების უფლება.

3. ცვლილებებია შესატანი პარტიების შესახებ კანონში. უნდა შემუშავდეს პარტიის რეგისტრაციაში გატარების ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც უზრუნველყოფენ მათი რაოდენობის მკვეთრ შემცირებას. ერთ-ერთ კრიტერიუმად უნდა მივიღოთ წევრთა რაოდენობა.

4. პარლამენტმა სასწრაფოდ უნდა მიიღოს კანონი პროფკავშირის შესახებ. იგი წარმოადგენს შრომითი კოლექტივების მართვაში ხალხის მონაწილეობის ყველაზე დემოკრატიულ ფორმას. პროფკავშირის უფლებამოსილებანი თანაბარი უნდა იყოს სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში.

სადაზღვევო კომპანია „ალდაგი" ფრანგულ კომპანია GIF FRANCE-თან ერთად გთავაზობთ უბედური შემთხვევის დაზღვევას.

მინიმალური ხარჯების გაწევით — წელიწადში 30-დან 130 აშშ დოლარამდე თქვენ შეიძენთ პოლისს, რომლის საფუძველზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მიიღებთ 10 000-დან 50 000 აშშ დოლარამდე. პოლისი ძალდითუნარიანია მთელს მსოფლიოში.

ჩვენ აგაცილებთ იმ ფინანსურ სირთულეებს, რაც უბედურ შემთხვევებს მოჰყვება. ამის გარანტიას ჩვენთან ერთად იძლევა ფრანგული კომპანია GIF FRANCE.

ჩვენ, ისევე როგორც ჩვენს პარტნიორებს, საკუთარი სახელი ათეულ ათას დოლარზე მეტად გვიღირს, ამიტომ არ დაგპირდებით იმას, რისი გაკეთებაც არ შეგვიძლია — ეს განაპირობებს ჩვენს ავტორიტეტს.

დაინტერესების შემთხვევაში კომპანიის მენეჯერი პირადად შეგხვდებათ და მოგაწვდით დეტალურ ინფორმაციას დაზღვევის პირობების შესახებ.

ჩვენი კოორდინატებია: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 62
TEL: 29 49 07, 29 49 05
FAX: 29 49 06

შეიძინეთ სიმშვიდე და ფინანსური სტაბილურობა
თქვენთვის და თქვენი ოჯახისთვის!

აუბრობენ სპეციალისტები

იცოცხლეთ, დიეტური კვება კარგი იყოს!..

წლევანდელი წელი ძალზე მძიმე, დი-
დ მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლოა
თული მედიცინისათვის — იგი არის ძი-
ული გარდაქმნების, რადიკალური რეფო-
ების წელი. ყველას აწუხებს კითხვები: —
გორ გაართმევს თავს ჩვენი მედიცინა ამ
ული პროცესების მოგვარებას.. რა შედე-
ი მოჰყვება რეფორმებს? ამ პრობლემე-
არიან დაინტერესებული ჩვენი ქვეყნის
ულ ათასობით ენდოკრინულ-მეტაბოლუ-
დაავადებების (დიაბეტი, სიმსუქნე, ათე-
ქლეროზი, ნივთიერებათა ცვლის სხვა-
სხვა მოშლილობანი, ჩიყვები და სხვ.) მქო-
ავადმყოფები და მათი პატრონები, აგ-
ევე მათი მომსახურე სამედიცინო პერ-
ნალი.
უნებრივია, ამ კითხვებით გვინდოდა მიგ-
ართა იმ პიროვნებისათვის, რომელსაც ლო-
წვლილი მიუძღვის საქართველოში ენდო-
ნული სამსახურის შექმნა-ორგანიზაცი-
სათანადო კადრების აღზრდა-მომზადების
მეში და ითვლება კლინიკურ-მეცნიერუ-
ენდოკრინოლოგიის ფუძემდებლად სა-
თველოში.
აქართველოს ენდოკრინოლოგთა სამეც-
რო საზოგადოების თავმჯდომარეს, რეს-
ლიკის დიაბეტური ასოციაციის პრეზი-
ტს, სამედიცინო მეცნიერებათა აკადემი-
აკადემიკოსს, მეცნიერების დამსახურებულ
ღვაწეს, პროფესორ **ვაჟა ივერიელს** ინ-
ვიუ ჩამოართვა სამედიცინო აკადემიის
ოკრინოლოგიის კათედრის გამგემ, რეს-
ლიკის მთავარმა ენდოკრინოლოგმა, პრო-
ორმა **დავით მეტრეველმა.**

დ. მეტრეველი: — ბატონო ვაჟა, რადგან ეს წელიწადი თქვენი საიუბილეო წელიწადია, პირველ რიგში მინდა მოგილოცოთ თქვენი საექიმო-სამეცნიერო მოღვაწეობაში ნაყოფიერად გატარებული 50 წლის შესრულება და თქვენი უშრეტი ენერგიისა და ახალგაზრდული შემართების შემყურემ, გისურვოთ, მიუხედავად თქვენი 70 წლის ასაკისა, კვლავაც დიდხანს ასე ნაყოფიერად გემსახუროთ თქვენი საყვარელი საქმისა და ხალხისათვის.

ვ. ივერიელი: — გმადლობთ, მით უმეტეს, რომ ისეთი სიცოცხლე, რომლის დროსაც საქმიანობა ნაყოფიერი არ არის, მე, პირადად, არც მაინტერესებს.

დ. მეტრეველი: — სამწუხაროდ, ძალზე არასახარბიელოა ჩვენი დარგის ამჟამინდელი მდგომარეობა. თუმცა, შეიძლება ითქვას, ზოგიერთ სხვა დარგთან შედარებით, ჯერჯერობით ცოტათი უკეთ გამოვიყურებით, ჯერ ენდოკრინული სამსახური მთლიანად თვითდაფინანსებაზე არ არის გადასული, ახლა, ისევ ნაწყალობევ დახმარებათა ხარჯზე ვსულდგმულობთ. წამლებით მომარაგების მხრივ უამრავ პრობლემას თან ერთვის ჩვენში დიეტური კვებით პროდუქტების წარმოების პრაქტიკულად არარსებობა, რომ არაფერი ვთქვათ, საერთოდ, მოსახლეობის სალი საკვები პროდუქტებით მომარაგების საქმეზე, რომელთა გადაწყვეტის აუცილებლობა ურთულესი და უძნელესი პრობლემების წინაშე აყენებს ჩვენს გაპარტახებულ ქვეყანას. ამით სარგებლობენ ვაისაქმოსნები და იქმნება სრული უკონტროლობისა და განუკითხაობის ატმოსფერო. არადა, ეს ერთეული, თუნდაც ათეული ავადმყოფის ბედის საკითხი არ გახლავთ. ეს ეხება ასეულ ათასობით პიროვნებას, ბავშვიდან მოყოლებული მოხუცებამდე, მთელი ჩვენი ერის ჯანმრთელობის პრობლემას, მის აწმყოსა და მომავალს. აი, მივედით ძირითად კითხვამდე, ბატონო ვაჟა, თქვენ როგორ ფიქრობთ, არის თუ არა სასიკეთო გამოსავალი უკიდურესად შეჭირვებული მდგომარეობიდან და, თუ კი ასეთი რამ არსებობს, როგორ გესახებათ იგი?

ვ. ივერიელი: — თქვენ ჩვენი დარგის მდგომარეობის ამსახველი სურათი სრულიად რეალურად დახატეთ. ენდოკრინულ-მეტაბოლურ დაავადებათა საერთო რიცხვი ჩვენს პატარა ქვეყანაში საორიენტაციოდ მილიონამდეც კი აღწევს. ასეთ ავადმყოფთა სამედიცინო სამსახურის მოგვარება, მათი უზრუნველყოფა სამედიცინო პრეპარატებით, დიეტური და სალი საკვები პროდუქტებით ისეთი პრობლემაა, რომელიც მთელი ჩვენი ერის ჯანმრთელობასთან, მის კეთილდღეობასთან და მომავალთან არის დაკავშირებული. ენდოკრინულ-მეტაბოლურ დაავადებათა მკურნალობისა და პროფილაქტიკის უმნიშვნელოვანესი საერთო პრობლემა მჭიდროდ ურთიერთგადაჯაჭვული სამი რგოლისაგან შედგება, და თუ ჩვენ ვერ მოვახერხეთ სამივე რგოლში საქმის კარგად წარმართვა, აღნიშნულ პრობლემას სრულყოფილად ვერ დავძლევთ. ჩვენ, რაც უნდა კარგად ავაწყოთ ენდოკრინულ-მეტაბოლური სამსახურის სამედიცინო ნაწილი, თუ ვერ უზრუნველვყავით ავადმყოფთა და მოსახლეობის სათანადო დიეტური და სალი საკვები პროდუქტებით მომარაგება, როგორ

(დასასრული 33-ე გვ.).

სინამდვილე კი ასეთია

აფხაზეთის მოსახლეობა: ისტორია და თანამედროვეობა

ცნობილია ისიც, რომ ძველი ავტორები საერთოდ გაზვიადებულად მიუთითებდნენ მოსახლეობის რაოდენობას. მაგალითად, XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ჯუანშერის ცნობით, ვახტანგ გორგასალმა მე-5 საუკუნეში გაილაშქრა ოსებზე, დაამარცხა ისინი და თითქოს ხელთ ჩაიგდო 1060 ათასი ტყვე. ამ ცნობის საფუძველზე ზ. ჭიჭინაძე ასკვნის, რომ ოსები მაშინ მილიონობით იყოო. მაგრამ შეიძლება ამ ცნობის მიღება? რა თქმა უნდა, არა. იმ პერიოდში ასეთი რაოდენობის ჯარის გამოყვანა შეუძლებელი იყო და მით უმეტეს ტყვედ ჩაგდება. ამასთან, მაშინ მსოფლიოში თითქმის არც ერთი სახელმწიფო არ იყო, რომელსაც მილიონობით მოსახლეობა ჰყავდა, მე-5 საუკუნეში თვით მსოფლიოს მოსახლეობაც მცირე იყო — დაახლოებით 250 მილიონი.

მე-19 საუკუნემდე ჩვენ არავითარი სანდო წყარო არ მოგვეპოვება, რომ მიახლოებით სწორად მაინც განვსაზღვროთ აფხაზების რაოდენობა. ასევე რთულია მე-19 საუკუნის პირველი ნახევრისათვის აფხაზების რაოდენობის დადგენა. ეს იმითაა გაპირობებული, რომ აფხაზეთში ამ პერიოდში არ ჩატარებულა კამერალური აღწერები, რასაც რუსეთის ხელისუფლება ახორციელებდა. რუსული მმართველობა კი აქ 1864 წელს დამკვიდრდა. მიუხედავად ამისა, ცალკეული ცნობები მაინც მოიპოვება ამ პერიოდის აფხაზეთის მოსახლეობის შესახებ. აკად. პ. გუგუშვილის გაანგარიშებით 1800 წელს აფხაზების რაოდენობა 30 ათასს, 1832 წელს კი 34,8 ათასს უდრიდა.

აფხაზეთის მოსახლეობის განხილვის დროს აუცილებელია ცალკე შევეხოთ მუჰაჯირობის საკითხს. ეს სიტყვა არაბული წარმოშობისაა და ნიშნავს გადასახლებას, ემიგრაციას.

გადასახლებულთა მოძრაობამ აფხაზეთში ფართო ხასიათი XIX საუკუნეში მიიღო. ძირითადად ეს იყო აფხაზთა ძალდატანებით გადასახლება თურქეთის იმპერიაში. გადასახლებულთა და შემდეგ უკან დაბრუნებულთა რიცხვის დადგენა ჩვენ დაგვეხმარება შედარებით ზუსტად განვსაზღვროთ აფხაზეთის მოსახლეობისა და საკუთრივ აფხაზების რაოდენობა XIX საუკუნის ცალკეულ პერიოდებში. ამ საკითხის შესწავლა იმითაც არის საგულისხმო და აუცილებელი, რომ თანამედროვე აფხაზი ავტორები შეგნებულად არასწორად განსაზღვრავენ XIX საუკუნეში თურქეთში გახიზნულ აფხაზთა რაოდენობას. უკანასკნელ წლებში ისინი სულ უფრო და უფრო ზრდიან ამ მაჩვენებელს. თუ ადრე გადასახლებულთა რიცხვს 30 ათასით განსაზღვრავდნენ, შემდეგში ამ მაჩვენებელმა 400 ათასსაც კი მიაღწია. კონიუნქტურის აყოლის სურვილი ისეთი ძლიერი გამოდგა, რომ ადრე თუ პროფ. შ. ინალ-იფა თურქეთში გადასახლებული აფხაზების საერთო რიცხვს 60 ათასი კაცით განსაზღვრავდა, ამჟამად მისი აზრით, XIX საუკუნეში თურქეთში 100 ათასი აფხაზი მაინც გადასახლდა, თუ მეტი არა. ბ. აშუბას აზრით კი XIX საუკუნის 80 წელიწადში 200 ათასი აფხაზი იძულებული გახდა დაეტოვებინა აფხაზეთი.

ბუნებრივია დაისვას კითხვა: აფხაზი ავტორები ასე თავგამოდებით რატომ ცდილობენ ხელოვნურად გაზარდონ თურქეთში გახიზნული აფხაზების რაოდენობა? ეს მათ იმისათვის სჭირდებათ, რომ „დაამტკიცონ": აფხაზეთში მხოლოდ აფხაზები ცხოვრობდნენ და ისიც დიდი რაოდენობით. ამდენად სხვა ერებს, და მით უმეტეს ქართველებს, იქ, მათი აზრით, არაფერი ესაქმებათ.

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მუჰაჯირობის საკითხში რუსეთისა და თურქეთის ინტერესები ერთმანეთს ზედმიწევნით დაემთხვა. ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ 1858 წლიდან დასავლეთ კავკასიის მთიელთა გადასახლების საკითხი მეფის რუსეთისა და თურქეთის დიპლომატიური მიმოწერის მეტად მნიშვნელოვანი საგანი გახდა.

როგორც რუსეთის, ისე თურქეთის სახელმწიფოებს აფხაზების თავიანთი საცხოვრებელი მიწიდან აყრისა და თურქეთში გადასახლების საკითხში გამოკვეთილი მიზნები ჰქონდათ. რუსეთი დაინტერესებული იყო დაცარიელებულ ადგილებში კაზაკ-რუსები დაესახლებინა. მაშინდელი უმაღლესი რანგის ხელისუფალთა მიმოწერაში დაუფარავადაა ეს სურვილი გაცხადებული და ამისათვის საჭირო ღონისძიებებიცაა დასახული. 1861 წელს კავკასიის მეფისნაცვალი თავადი ბარიატინსკი წერდა: „უნდა გავათავისუფლოთ კავკასიის ზეგანი მოსახლეობისაგან... და ამ მშვენიერ და ნაყოფიერ ადგილებში უნდა შევქმნათ კაზაკთა დასახლებები". იმპერატორ ალექსანდრე მეორეს კი კავკასიის ომის დამთავრების მილოცვის წერილში იმასაც ატყობინებდნენ, რომ „დროის დაუკარგავად და რამდენადაც შესაძლებელია" უნდა გადავასახლოთ მთიელები თურქეთში და „რაჯი ქვეყანა მათგან გაიწმინდება, დავამყარებთ იქ ჩვენს ბატონობას სამუდამოდო". რუსეთის ხელისუფალთა მიზანი იყო მთლიანად გაესახლებინათ ჩერქეზები, ყაბარდოელები, ოსები, უბიხები, აფხაზები და სხვა მთიელი ტომები. 1860-იან წლებში ძირითადად გადაასახლეს საძები, აბაზინები, უბიხები. უბიხები თითქმის მთლიანად გადასახლდნენ თურქეთში. კავკასიაში დარჩა მხოლოდ 13 ოჯახი (80 სული) ყუბანის ოლქის სხვადასხვა ჩერქეზულ აულში და 40 ოჯახი შავიზღვისპირეთის სანაპიროზე სოფელ გოლოვინსკის მახლობლად. შემდეგში უბიხური ოჯახების ნაწილი გადაასახლეს კოსტრომის გუბერნიაში, სადაც მათ მალე დაივიწყეს კიდეც მშობლიური უბიხური ენა.

ამავე პერიოდში დაგეგმილი იყო აფხაზების თურქეთში გადასახლება. 1864 წელს, ე. ი. კავკასიის ომის დამთავრებამდე, მეფისნაცვალი ალექსანდრე მეორეს პირად წერილში სწერდა: „ვიმოქმედებთ წინდახედულად, მაგრამ გაბედულად, რათა საბოლოოდ მთლიანად გავწმინდოთ შავი ზღვის სანაპირო". ამ პერიოდში ამ გეგმის განხორციელება — აფხაზეთის სამთავროს მოსახლეობის გადასახლება თავდაპირველად დაგეგმილი მასშტაბით ვერ მოხერხდა. როგორც პროფ. გ. ძიძარია აღნიშნავს, ამაში გარკვეული როლი ითამაშა რუსეთის საზოგადოებრივმა აზრმა. მართალია, ოფიციალურ წრეებში ზოგიერთები საჭიროდ მიიჩნევდნენ დასავლეთ კავკასიაში მცხოვრებ მთიელებთან ერთად აფხაზების გადასახლებას, მაგრამ იმ პერიოდში ამ აზრის განხორციელება არ იქნა მიჩნეული სასარგებლოდ და აფხაზები ადგილზე დარჩნენ. მიუხედავად ამისა აფხაზების მცირე ნაწილი 1863 წელს მაინც გადასახლდა თურქეთში, ძირითადად სოფელ ხურიეში ბათუმის მახლობლად.

აფხაზების თურქეთში გადასახლების საკითხის დადებითად გადაწყვეტაში თურქებსაც თავიანთი ინტერესები ამოძრავებდათ. თურქეთის მთავრობას სურდა კავკასიიდან გადასახლებული მთიელებით დაესახლებინა იმპერიის ცარიელი და ნაკლებად დასახლებული ადგილები. ამის შესახებ სულთანი დოვლეთ-გირეი წერდა: თურქეთის მთავრობა სიამოვნებით იღებს გადმოსახლებულებს, რომლებიც გვჭირდება ევროპული და აზიური გუბერნიების ცარიელ ადგილებში დასასახლებლად. ხანგრძლივი ომების შედეგად თურქეთის მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირდა. იმ პერიოდის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით თურქეთი ბრძოლებში ყოველწლიურად კარგავდა ასი ათას ჯარისკაცს. თურქეთი არც შემცდარა. მისთვის ხელსაყრელი იყო თავისი მოსახლეობის შევსება ახალი და მეომარი ხალხით. ამით იგი წყვეტდა სამხედრო-პოლიტიკურ ამოცანებს, უზრუნველყოფდა თავის ეკონომიკას იაფი მუშახელით, ხოლო მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტებში მუჰაჯირების დასახლებით ამტკიცებდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას, ამასთანავე მუსულმანური სამყაროს თვალში გამოდიოდა როგორც ყველა მუსულმანის მფარველი.

თურქეთში გადასახლების პროცესში მთიელებს უდიდესი ტრაგედია დაატყდათ თავს. მეფის არმია მეტად სასტიკად ეპყრობოდა მათ. მთიელებმა მთელი თავისი ქონება მიატოვეს და საზღვაო პორტებს მიაშურეს თურქეთში გადასასახლებლად. მაგრამ არც თურქულ და არც მეფის ფლოტს არ შეეძლო ერთდროულად ასეთი დიდი რაოდენობის ადამიანთა გადაყვანა. ისინი მშიერ-მწყურვალნი თვეობით ელოდნენ გემებს. შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპირო მოფენილი იყო გვამებით და მომაკვდავი ადამიანებით. ჯერ კიდევ ცოცხალი, მაგრამ ღონემიხდილი ადამიანები მშიერი ძაღლების მსხვერპლი ხდებოდნენ, ხოლო ბავშვები მკვდარ დედებს ძუძუს წოვდნენ. თურქი ჯაშუშები გზაში ავადმყოფობის მცირე ნიშნის შემჩნევის დროსაც კი ადამიანებს გემიდან აგდებდნენ.

კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაში ჩავარდნენ მთიელები თურქეთში, განსაკუთრებით სამსუნსა და ტრაპეზუნტში, სადაც თავი მოიყარა გადასახლებულთა დიდმა რაოდენობამ. ათეულ ათასობით ადამიანი შიმშილით დაიღუპა. ქუჩები, ბაღები და მოედნები გვამებით იყო მოფენილი. ტრაპეზუნტში ყოველდღიურად 180-250 კაცი იღუპებოდა, ხოლო სამსუნში — 200 კაცი. ანატოლიის სანაპიროებზე სულ 350 ათასი გადმოსახლებული დაიღუპა. ამ რიცხვში აფხაზებიც შედიოდნენ (გ. ძიძარია).

თურქი ხელისუფალნი სარგებლობდნენ გადასახლებულთა გამოუვალი მდგომარეობით და მასობრივად ყიდდნენ მათ, ქმნიდნენ „ჩერქეზ" კავალერისტთა პოლკს, სულთანის „ჩერქეზულ გვარდიას". ამის გამო აკრძალეს მათი გაყიდვა, მაგრამ რამდენადაც არმიაში უცოლოებს იღებდნენ, ბევრმა მთიელმა გაყიდა თავისი ცოლშვილი, გადასახლებულთა საერთო გულისტკივილი გამოხატა ერთ-ერთმა მთიელმა, რომელიც 1872 წელს კონსტანტინეპოლში წერდა: რვა წელი გავიდა, რაც თურქეთში გადმოვსახლდით. ჩვენ მოკლებულნი ვართ თავისუფლებას, ოჯახს, ქონებას. ყოველდღიურად გვართმევენ იმის ნახევარს, რასაც გამოვიმუშავებთ. მაგრამ ისინი ამით როდი კმაყოფილდებიან: იარაღის ძალით გვართმევენ შვილებს, ვაჟებსა და გოგონებს და ყიდიან მათ მონებად. ასეთ საშინელ მდგომარეობაში ჩავარდნილ მთიელთა საკმაო ნაწილი უკან დაბრუნდა.

აფხაზების თურქეთში გადასახლებას ხელი შეუწყო აგრეთვე აფხაზი ფეოდალების მოღალატურმა მოქმედებამ. საერთოდ „თურქეთში მთიელების გადასახლების პოლიტიკა გატარდა გამყიდველი თავადების ხელით" (ა. ხაშბა). ამ აზრს მთლიანად ვერ გავიზიარებთ, მაგრამ, ცხადია, იმის შიშით, რომ საგლეხო რეფორმის გატარების გამო ძველ პრივილეგიებს დაკარგავდნენ, მათ გადაწყვიტეს თურქეთში გადასახლება კუთვნილ გლეხებთან ერთად და ეს გადაწყვეტილება რუს ხელისუფალთა შეატყობინეს.

იმპერატორი ალექსანდრე მეორე უშუალოდ იძლევა თანხმობას აფხაზების თურქეთში გადასახლების შესახებ. შესაბამისად მეფისნაცვალი უმალ სცემს მითითებას: მისი უმაღლესობა ნებას იძლევა აფხაზეთიდან და წებელდიდან თურქეთში გადასახლდნენ მუსულმანები. გამოიყენეთ ამისათვის ყოველი მოხერხებული შემთხვევა და ახლავე შეუდექით შესრულებას. მართლაც, აფხაზების ერთ-ერთი დიდი გადასახლება თურქეთში ამ პერიოდში ხდება. 1867 წელს თურქეთში გადასახლდა 14458 კაცი (გ. ძიძარია). მაგრამ არაადამიანურ პირობებში ჩავარდნილი აფხაზების მნიშვნელოვანი ნაწილი უკან დაბრუნდა.

რუსეთის ხელისუფალნი აფხაზების თურქეთში გადასახლებას, ზემოთ აღნიშნული მიზეზების გარდა, ხელს უწყობდნენ იმის გამოც, რომ აღმოსავლეთ შავი ზღვის სანაპიროს მნიშვნელოვან სტრატეგიულ დასაყრდენ პუნქტად თვლიდნენ ამიერკავკასიაში გასაბატონებლად. ამიტომ ისინი ყოველმხრივ ცდილობდნენ ადგილობრივი მოსახლეობის აყრას და გადასახლებას და მათ ადგილზე კაზაკ-რუსების დასახლებას, მოსახლეობისაგან დაცარიელებულ საცხოვრებელ ადგილებს კი უმალვე რუსულ სახელწოდებებს აძლევდნენ. ისინი პირდაპირ აცხადებდნენ, რომ „საკითხი — როგორი სახელწოდება უნდა მისცენ დარჩენილ თავისუფალ მიწებს — არის არა მარტო კერძო, ადგილობრივი, არამედ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის". გასული საუკუნის მეორე ნახევარში აფხაზეთში შეიქმნა ახალი დასახლებული პუნქტები: ბაკლანკა, პეტროპავლოვსკოე, მიხაილოვსკოე, ესტონსკოე, პოლტავსკოე, ჩერნიგოვსკოე, ვესიოლაია, პილენკოვო, პერვინკა, მოლდავანკა, ვისოკაია და სხვ.

1820-იან წლებში საფრანგეთის კონსული თბილისში ჟაკ ფრანსუა გამბა რუსეთის მთავრობას მოძღვრავდა იმის შესახებ, რაც თითქმის ორი საუკუნეა მოსვენებას არ აძლევს ქართველ ხალხს. კერძოდ, იგი წერდა გაგრის ადგილმდებარეობა ძლიერ მოხერხებულია, რუსეთის მთავრობამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ ადგილს და მისი ხელში ჩაგდება უპირველესი მნიშვნელობის ამოცანად უნდა დაისახოს, თუკი კავკასიის ხალხების საბოლოო დაშოშმინება და დამორჩილება სურს, მაგრამ რუს მოხელეებს გამბას გარეშეც ყურადღება ჰქონდათ მიქცეული ამ ადგილისათვის. ამავე ხანებში გენერალი პასკევიჩი ნიკოლოზ პირველს არწმუნებდა, რომ კავკასიის საბოლოო დაპყრობა შეიძლება მოხერხდეს მხოლოდ შავი ზღვის სანაპიროების დაპყრობისა და კოლონიზაციის შემდეგო. მეტად საინტერესოა ამ მხრივ „კავკასიის დიქტატორის" ა. ერმოლოვის 1820 წელს დაწერილი წერილი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრისადმი. ამ პერიოდში რუსეთის გარნიზონში დიდი სიკვდილიანობისა და დიპლომატიური სიძნელეების გამო რუსეთის საგარეო სამინისტროში დაისვა სოხუმისა და აფხაზეთის თურქებისათვის დაბრუნების საკითხი. ა. ერმოლოვი საგარეო საქმეთა მინისტრს სწერდა იმის შესახებ, რომ სოხუმი წარმოადგენდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რუსეთის დასაყრდენს. იგი გადადგომით ემუქრებოდა, თუკი სოხუმს თურქებს დაუბრუნებდნენ. სამინისტრომ დააკმაყოფილა ა. ერმოლოვის მოთხოვნა (ა. დიაჩკოვ-ტარასოვი).

ანზორ თოთაძე.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 77, 78, 79, 80-81, 82, 83, 85, 86, 90.

ინფორმაცია

არძინბას „მთავრობის" დელეგაცია კრასნოდარში

აფხაზი სეპარატისტები დიდ ყურადღებას უთმობენ რუსეთის სხვადასხვა რეგიონთან ეკონომიკური თუ სხვა კავშირურთიერთობის განვითარებას.

ამ ცოტა ხნის წინათ აფხაზთა დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა სეპარატისტთა მთავრობის ვიცე-პრემიერი იური ვორონოვი, კრასნოდარის მხარეში ჩავიდა. აფხაზური რადიო ამტკიცებს, რომ ეს ვიზიტი კრასნოდარის მხარის საკანონმდებლო კრების მიწვევით შედგა.

იური ვორონოვმა, რომელიც ცნობილია თავისი ანტიქართული სტატიებით, წიგნებითა და განცხადებებით, სოხუმში დაბრუნებისას ჟურნალისტებს განუცხადა, რომ აფხაზთა დელეგაციის მოგზაურობის მიზანი იყო აფხაზეთსა და კრასნოდარის მხარეს შორის ინფორმაციის გაცვლა და ორმხრივი კავშირურთიერთობის დამყარება. ვორონოვმა აღნიშნა, რომ აფხაზთა დელეგაცია კრასნოდარში მიიღეს „ძალზე კარგად, უმაღლეს დონეზე..." დელეგაცია მიიღეს კრასნოდარის მხარის ადმინისტრაციის მეთაურის მოადგილემ და მხარის საკანონმდებლო კრების წარმომადგენლებმა.

სეპარატისტების ჯარში გაწვევის შედეგები

სოხუმში მოქმედი აფხაზური რადიო იუწყებოდა, რომ სეპარატისტთა მთავრობამ განიხილა „აფხაზეთის შეიარაღებული ძალების" რიგებში აფხაზი ახალგაზრდობის საგაზაფხულო გაწვევის შედეგები.

ეს გაწვევა მიმდინარეობდა ამა წლის მაისსა და ივნისის დამდეგს. სეპარატისტთა მთავრობას მიაჩნია, რომ ადმინისტრაციის მეთაურებმა და აფხაზეთის ქალაქებისა და რაიონების სამხედრო კომისარიატებმა, ძირითადად, გაართვეს თავი „დაკისრებულ ამოცანათა შესრულებას". აფხაზური რადიო და ტელევიზია არაფერს იტყობინება ეგრეთ წოდებულ აფხაზურ არმიაში გაწვეულთა და „აფხაზეთის შეიარაღებულ ძალებში" მომსახურეთა რაოდენობის შესახებ. არსებული ინფორმაციით, აფხაზი, რუსი და სომეხი ეროვნების ახალგაზრდების გარკვეულმა ნაწილმა თავი აარიდა ეგრეთ წოდებულ „აფხაზეთის შეიარაღებულ ძალებში" გაწვევას და დატოვა აფხაზეთი. ეს არც არის გასაკვირი. სულ უფრო მეტ ახალგაზრდას არ სურს იმსახუროს აფხაზთა შეიარაღებულ ფორმირებებში.

ფონდი ეხმარება აფხაზეთს

აფხაზური რადიოს მონაცემებით, რომელიც ყოველდღე მაუწყებლობას აწარმოებს სოხუმიდან, ახლახან აფხაზეთში იმყოფებოდა რუსეთ-ელინის სახულიერო ერთიანობის დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ აღნიშნული ფონდის პრეზიდენტი აკადემიკოსი გიორგი ტრაპეზნიკოვ-გერასიმიდი, ფონდის ვიცე-პრეზიდენტი გენერალ-ლეიტენანტი ანდრია გაფონოვი და სხვები.

დელეგაციის წევრები შეხვდნენ აფხაზ დეპუტატებსა და ქალაქ სოხუმის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს.

დელეგაციის წევრებმა განაცხადეს, რომ მათი ფონდი ამოცანად ისახავს დაეხმაროს კონფლიქტების მსხვერპლთ, განამტკიცოს ხალხთა სულიერი ერთიანობა მათი ეროვნების, რელიგიური და პოლიტიკური მსოფლმხედველობის მიუხედავად. აფხაზეთში ფონდის დელეგაციის ახლანდელი ჩამოსვლის მიზანია დაეხმაროს რუსულენოვან მოსახლეობას.

თენგიზ პაპკორია.

ავტოკატასტროფა „უზბასთან"

როგორც საინფორმაციო კორესპონდენტს შინაგან საქმეთა სამინისტროში აცნობეს, 26 ივლისს 00 საათსა და 30 წუთზე თბილისში, სასტუმრო „უზბასთან" მოხდა ავარია. ავტომანქანა „ვაზ—2106", რომელსაც მართავდა ნაძალადევის შინაგან საქმეთა განყოფილების საგუშაგო-საპატრულო სამსახურის ასმეთაურის მოადგილე, პოლიციის მაიორი ჯუმბერ ჭრელაშვილი, დაეჯახა სატვირთო ავტომანქანას.

ავარიის შედეგად ჯუმბერ ჭრელაშვილი ადგილზე გარდაიცვალა.

საუბრობენ სპეციალისტები

იცოცხლეთ, დიეტური კვება კარგი იყოს!..

(დასასრული)



შეიძლება მივაღწიოთ სასურველ შედეგს, როდესაც მათი მკურნალობის საფუძველთა საფუძველს დიეტოთერაპია წარმოადგენს?! მეორე მხრივ, რაც უნდა კარგად ავაწყოთ სამედიცინო მომსახურებისა და საკვები პროდუქტებით მომარაგების საკითხი, როგორ შევძლებთ მივაღწიოთ სრულყოფილ შედეგს, თუ ჩვენი ავადმყოფებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო ჩვევები, ცხოვრების წესები არაჯანსაღ, ანტიჰიგიენურ, არარაციონალურ საფუძველზე იქნება ფორმირებული.

დ. მეტრეველი: — ბატონო ვაჟა, ზოგად ასპექტში თქვენი აზრი გასაგებია, მაგრამ ხომ არ წააგავს იგი უტოპიას? გჯერათ რომ ახლო მომავალში მათი მიღწევა შესაძლებელია? კონკრეტულად როგორ გესახებათ მათი განხორციელების გზები?

ვ. ივერიელი: — უდავოა, პრობლემები უაღრესად სერიოზული და რთულია. მაგრამ თუ იქნება ჯანდაცვის სამინისტროს, მთავრობისა და სახელმწიფოს მეთაურის მიერ რეალურად გატარებული სათანადო კონკრეტული ორგანიზაციულ-რეორგანიზაციული ღონისძიებები, მაშინ სრული დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული იდეალების განხორციელება რეალური გახდება.

დ. მეტრეველი: — რა გაძლევთ ასეთი ოპტიმიზმის საფუძველს?

ვ. ივერიელი: — ჩემი ოპტიმისტური განწყობილება არ არის სუბიექტური ხასიათის, იგი ობიექტურ საფუძვლებს ემყარება. პირველია ის, რომ ჩვენი ქვეყანა არა მარტო დეკლარირებით, საქმით დაადგა რეფორმების გზას და თანდათანობით პოხიერდება ნიადაგი პოზიტიური საქვეყნო საქმეების კეთებისათვის, ყოველ შემთხვევაში, ჯანმრთელობის სამინისტროში ამ მხრივ მიმდინარეობს უაღრესად სერიოზული, დაძაბული საქმიანობა. მეორე და მთავარი ის არის, რომ ჯანდაცვის სამინისტრო და, პირველ რიგში მინისტრი, ბატონი ავთანდილ ჯორბენაძე თვით არის ინიციატორი ამ პრობლემათა გადაჭრის ღონისძიებათა შემუშავებისა. მისი ინიციატივით, აღნიშნულ პრობლემათა საფუძვლიანი განხილვის შემდეგ, შემოთავაზებული იქნა სამინისტროში ოფიციალურად წარმედგინა სახელმწიფო პროგრამის პროექტი საბოლოო განხილვა-დამტკიცებისათვის. ჩვენს პროექტში ძირითადად ყურადღებას ვამახვილებდით სამედიცინო სამსახურზე და საკვებ პროდუქტებზე. მესამე ნაწილი— ცხოვრების ჯანსაღი წესების დამკვიდრების შესახებ, რაც რესპუბლიკისათვის განსაკუთრებით საჭიროა და უაღრესად მნიშვნელოვანი, ჩვენს მიერ სახელმწიფო პროგრამის პროექტში მთლიანად სახელმწიფოს მეთაურის მითითებით და მინისტრის დავალებით არის შეტანილი. აი, რატომ ვარ ოპტიმისტურად განწყობილი.

დ. მეტრეველი: — ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მაინც რა კონკრეტული ღონისძიებებია დასახული აღნიშნული სახელმწიფო პროგრამის პროექტში?

ვ. ივერიელი: — თქვენს შეკითხვას ვეცდები ვუპასუხო სახელმწიფო პროგრამის პროექტის თითოეული რგოლის მიხედვით ცალ-ცალკე. პირველი, სამედიცინო პროგრამა ძალზე სპეციფიკურია. მისი გადაწყვეტა ძირითადად ჯანდაცვის სამინისტროს პრეროგატივაში შედის და მასზე მოკლედ შევჩერდები. მკითხველისათვის რომ გასაგები იყოს პროგრამულ სამედიცინო ღონისძიებათა მნიშვნელობა, საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს ენდოკრინულ-მეტაბოლურ დაავადებათა თავისებურებანი: ამ დაავადებების დიდი სიხშირე, დაავადებათა ხანგრძლივად მიმდინარეობა, ხშირად ავადმყოფის მთელი სიცოცხლის მანძილზე (მაგალითად, დიაბეტი და სხვა), მისდამი ასევე ხანგრძლივი ყურადღების საჭიროება, საექიმო და ლაბორატორიული კონტროლი, ამბულატორიულ და სტაციონარულ პირობებში წამლებითა და დიეტური პროდუქტებით უზრუნველყოფა, ხშირი და მძიმე გართულებები სხვადასხვა ორგანოების მხრივ, რაც მკურნალობის პროცესში აუცილებელს ხდის მომიჯნავე დარგების სპეციალისტების ჩართვას და ა. შ.

საჭიროა გამოიყოს ქალაქის ერთ-ერთი ჩვეულებრივი მრავალპროფილიანი სომატური საავადმყოფო სპეციალურად ენდოკრინულ-მეტაბოლურ ავადმყოფთათვის და იქ მოხდეს კონცენტრირება ყველა იმ სტრუქტურებისა, რომლებიც საჭირო არიან რესპუბლიკაში ენდოკრინულ-მეტაბოლური სამსახურის წარმართვის, ორგანიზაციისა და კონტროლისათვის. იგი უნდა იყოს ენდოკრინულ-მეტაბოლური სამსახურის რესპუბლიკური ცენტრი — ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ამ სამსახურის მართვის ძირითადი ორგანო. ამ საავადმყოფოს ბაზაზე უნდა იყოს თავმოყრილი არა მარტო ენდოკრინულ-ჰორმონული კვლევის ცენტრალური ლაბორატორიები და კაბინეტები, არამედ საკვები პროდუქტების შემსწავლელი მძლავრი ლაბორატორიები. აღნიშნულ საავადმყოფოსთან ასოცირებული უნდა იყოს ასევე სპეციალიზებული სანატორიუმი (ბორჯომ-ლიკანის) და რეაბილიტაციურ-რეკრეაციული სახლები, რომ ავადმყოფთა მკურნალობა ყველა რგოლში სტაციონარულ-ამბულატორიულ-სანატორიულ პირობებში ერთიანი ხელმძღვანელობითა და სისტემით ხდებოდეს.

მეორე — დიეტური და სალი საკვები პროდუქტების წარმოებისა და ამ პროდუქტებით ავადმყოფებისა და მოსახლეობის უზრუნველყოფის პრობლემა უაღრესად აქტუალურია, მით უმეტეს ჩვენი ქვეყნისათვის. გარდა ამისა, საკვები პროდუქტების ვარგისიანობა-ხარისხის კონტროლის, მათი წარმოების ლიცენზირებისა და რეკლამირების საკითხშიც სრული განუკითხაობა სუფევს, თუ არ ჩავთვლით სანიტარიულ-ინსპექტორულ კონტროლს საკვების დაინფიცირება-ვარგისიანობის მხრივ. სახალხო ჯანმრთელობისათვის ამ უდიდესი მნიშვნელობის პრობლემებთან დაკავშირებით ისმის კითხვა: რომელი სახელმწიფო სტრუქტურა უნდა იყოს საკვები პროდუქტების სისალის, მისი დიეტური ღირებულების, მისი სარეკლამო მონაცემების რეალურ მონაცემებთან შესატყვისობის დამდგენელ-მაკონტროლებელი, და ამრიგად, საკვები პროდუქტების საბოლოო შემფასებელი და მის წარმოებაზე ლიცენზირების გამცემი? ჩვენი ღრმა რწმენით, მხოლოდ ჯანდაცვის ორგანოები და არა სოფლის მეურნეობის სამინისტრო. თუ რატომ, ამის დასაბუთება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. სპეციალური დიეტური პროდუქტების მოქმედების საბოლოო შემფასებელი რომ მხოლოდ ექიმი და, საერთოდ, ჯანდაცვის ორგანოები უნდა იყოს, ამას, მგონი, მტკიცება არ სჭირდება.

ამრიგად, ჩვენს ქვეყანაში დიეტური და სალი პროდუქტების წარმოების ორგანიზაციისა და მაღალ დონეზე წარმართვის მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გატარდეს შემდეგი პირველი რიგის ღონისძიებანი:

ქ. თბილისის ერთ-ერთ მიმდებარე რეგიონს საქართველოს მთავრობის მიერ მიეცეს დიეტური და სალი საკვები პროდუქტების მწარმოებელი ზონის სტატუსი.

სამთავრობო დადგენილებით უნდა მოხდეს აღნიშნული ზონის მეურნეობებისა და ფერმების (მეკურდღლეობის, მეცხოველეობის, მეფრინველეობის ფერმების, სატყეო და სანერგე მეურნეობების და სხვ.) ჯანდაცვის სამინისტროს პროგრამაში გაერთიანება მედიკოაგროსამრეწველო გაერთიანების სახით. იგი არ იქნება დაკავშირებული მასში შემავალი საწარმოებისა და მეურნეობების რეგიონული თუ უწყებრივი დაქვემდებარების შეცვლასთან ანდა მათი ფინანსური ინტერესების შელახვასთან, პირიქით, იგი მათი კეთილდღეობის ზრდის საფუძველი და გარანტი იქნება. ამ გაერთიანების მიზანია მხოლოდ საკვები პროდუქტების ხარისხის, სისალის და პროდუქტიულობის გაუმჯობესება. სათანადო თანამედროვე საწარმოების შექმნა, მათი კონკურენტუნარიანობისა და რენტაბელობის მაქსიმალური გაზრდისათვის ხელშეწყობა.

დ. მეტრეველი: — ვთქვათ თქვენი წინადადებები დაკმაყოფილდა და შეიქმნა მედიკოაგროსამრეწველო გაერთიანება. გარდა იმისა, რომ კოორდინაცია-კონტროლი გაუწიოთ რეგიონს სალი საკვები პროდუქტების წარმოების მიზნით, რაიმე კონკრეტული პროექტები და სამოქმედო გეგმები თუ გაქვთ შემუშავებული?

ვ. ივერიელი: — რა თქმა უნდა, გვაქვს და ძალიან ბევრიც. ზოგი მათგანი გამიზნულია სწრაფად, ამ წელსვე ასამოქმედებლად, ზოგიც მომავლისთვის. ეს მრავალ სფეროს მოიცავს: ზოგი ეხება რეგიონში უკვე არსებულ, ათვისებულ წარმოებებს, რომელთა მიმართ, დიეტური თვალსაზრისით, ჩვენი დაინტერესება დიდია, მაგალითად, კურდღლის ხორცის, ქერის (განსაკუთრებით ლიზინის მაღალი შემცველობის), საადრეო საპარკე ბარდის და მრავალი სხვათა წარმოების გაზრდას. ასევე უნდა შევუწყოთ ხელი რეგიონში ხოხის, იხვის ხორცის, თევზის წარმოების ფართო მასშტაბით დანერგვას, ადგილობრივი ტყის პროდუქტების (კენკრა, ხილი და სხვ.) მაქსიმალური ათვისების ორგანიზაციას, ნედლეულის გადამამუშავებელი წარმოებების შექმნას და სხვ. კონკრეტულად ჩვენს მიერ შერჩეულია ყურძნისა და ხილ-კენკრის ისეთი ჯიშების ნუსხა, რომლებიც სალი და დიეტური კვებისათვის არის გამიზნული და ფართო გამოყენებას, იმსახურებს. ჩვენს მიერ შემუშავებულია ზოგიერთი დიეტური საკვები პროდუქტისა და სასმელი წვენების წარმოების ორიგინალური პროექტებიც. ყველაფრის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ეს არ არის რაღაც ნაუცბათევად მოფიქრებული გეგმები. ეს არის ჩვენს მიერ აღნიშნული საკითხების 15 წლის დაკვირვება-შესწავლის შედეგები.

დ. მეტრეველი: — ახლა ჩემთვის ცხადი ხდება, რომ ჩვენ ვცდებოდით, როცა თქვენი სოფლის მეურნეობით გატაცება, მორიგ ჰობად მივიჩნიეთ, ისე როგორც თქვენი ახალგაზრდობაში ჭიდაობა და საქართველოს ჩემპიონობა, განთქმული თქვენი მონადირეობა, ჩოგბურთით გატაცება: თბილისის ჩოგბურთელთა შორის წყვილთა განრიგში თბილისის ჩემპიონობა და მერე წლების მანძილზე საქართველოს „დინამოს" ჩოგბურთის ფედერაციის თავმჯდომარეობა. ჩანს, თქვენი დაინტერესება სოფლის მეურნეობით, როგორც ენდოკრინოლოგ-მეტაბოლოგის და კვების და დიეტოლოგის სპეციალისტისა, უფრო ღრმა და პროფესიულია: ამის კარგი დასტურია პრესაში გამოქვეყნებული თქვენი მოსაზრებანი, ჩვენში მეხილეობის განვითარების პერსპექტივების შესახებ.

და, ბოლოს, რას იტყოდით სახელმწიფო პროგრამის პროექტის „მესამე რგოლის" — ცხოვრების ჯანსაღი წესების დამკვიდრების პროგრამის შესახებ?

ვ. ივერიელი: — იგი ყველაზე ფაქიზი და დროის მომცველი პრობლემაა, თუმცა ყველაზე ადრე სწორედ ამ პროგრამის განხორციელებას შეგვიძლია შევუდგეთ, რადგან მისი დაფინანსების საკითხი, ჩვენი მინისტრის ძალისხმევის წყალობით, პრინციპში მოგვარებულია, შეიქმნება სპეციალური სამეცნიერო საბჭო ჩვენი ქვეყნის მრავალი დარგის წამყვანი სპეციალისტების და საზოგადო მოღვაწეთა მონაწილეობით. მასზე გეგმაზომიერად, სოლიდურად, მრავალი კუთხით გვექნება საუბარი და მსჯელობა საზოგადოებასთან. მოხდება დეტალური განხილვა ყოველგვარი იაფფასიანი აგიტაცია-პროპაგანდისტული ტრაფარეტების გარეშე.

დ. მეტრეველი: — ბატონო ვაჟა, მე ისღა დამრჩენია გისურვოთ, როგორც იტყვიან: „ღმერთმა კარგი ყურით გისმინოთ", მოგცეთ ჯანღონით სავსე სიცოცხლე, რათა ეს კეთილი, დიდებული საქმე ბოლომდე მიგვეყვანოთ ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ.

ზღვარი

მიზეზი, რომელიც ევროპელს თვითმკვლელობისკენ უბიძგებს, ზანგს მხოლოდ ირონიულ ღიმილს ჰგვრის



დავითვალე და ვნახე, რომ ერთ საბედისწერო კვირას საქართველოში თვითმკვლელობის 8-9 შემთხვევა მომხდარიყო.

საერთოდ, კვირა არ გავა, 3-4 ადამიანმა მაინც არ დაასრულოს სიცოცხლე ამგვარად.

გელა თ. ახალგაზრდა კაცი იყო. მძღოლად მუშაობდა, ცოლი და ორი შვილი ჰყავდა. კეიფი უყვარდა, ხშირად გამოვიდოდა ეზოში, მეზობლებს კეთილი გულითა და პურ-ღვინით უმასპინძლდებოდა. ასე რომ, ვერავინ შეატყობდა, ეს ჯან-ღონით სავსე კაცი ოდესმე ნებაყოფლობით თუ წავიდოდა ცხოვრებიდან.

წავიდა. ფანჯრის რაფაზე ჩამოიხრჩო თავი. კარი ჩაეკეტა და სახლში რაც ავეჯი იყო, ზედ მიეყარა, მაგიდაზე წერილი დაეტოვებინა. **„გთხოვთ, ჩემს სიკვდილში ნურავის დაადანაშაულებთ".** ცოლის ჯინაზე მოკლა თავი, თუმცა აღიარებდა, რომ უყვარდა...

ბელა ლ. 25 წლის, ქმარ-შვილიანი ქალი იყო. კომერციულ ინსტიტუტში სწავლობდა. ობოლი გოგო უსიყვარულოდ გათხოვილიყო. მეორე ბავშვზე ყოფილა ფეხმძიმედ, ქმარს კი უთქვამს: ახლა მაგის დრო არ არისო. საღამოს 10 საათზე თავი ჩამოიხრჩო.

32 წლის ელგუჯა მ.-მ ღამის 12 საათზე, თავისი სახლის წინ, გამოყულფა თოკი.

დავით შ.-მ „ნაგანით" მოისწრაფა სიცოცხლე.

შესაძლოა, გახსოვთ ან გინახავთ კიდეც ნადეჟდა რეპინას ფილმი „ზღვარი". ფილმი — თვითმკვლელობებზეა. მისი საფანელი მთლიანად დოკუმენტურია. თვითმკვლელობის ყველა ეპიზოდი რეალურია.

შეგძრავთ 16-17 წლის გოგონას ქცევა. მან მჟავა დალია და, ეტყობა, იმისათვის, რომ კუჭის წვა არ ეგრძნო, ფორთოხლის წვენი დააყოლა. ორი დღე იცოცხლა საშინელ წამებაში. სიკვდილი რომ გადაიფიქრა, საავადმყოფოს მიმართა, მაგრამ უკვე გვიან იყო, ექიმთა თქმით, კუჭის ქსოვილები ძველი ძონძებივით იხეოდა.

ბევრი, თავის მოკვლას რომ ცდილობს, სიკვდილის მოახლოებისას გაუგონარ შიშს განიცდის და გადარჩენაზე ოცნებობს. „გადავრჩები, ექიმო, ვიცოცხლებ?" — ეკითხება თუ ემუდარება ექიმს განწირული. ასე იქცეოდა ერთი ავადმყოფი, რომელმაც ტარაკანების საწინააღმდეგო შხამი ჭიქაში ჩააწვეთა და დალია. გადარჩა, გადაარჩინეს...

მოხუცი ქალი, რომელმაც მჟავა დალია, ასეთ სიტყვებს ამბობს: ადამიანებმა კარგად ჩაიცვეს, სულით კი გაშიშვლდნენო.

ცნობილია, რომ ყოველწლიურად ჩვენს პლანეტაზე 500 ათასი ადამიანი იკლავს თავს.

ევროპის უმეტესი ქვეყნების ზრდასრული მოსახლეობის სიკვდილის მიზეზთა შორის (გულის დაავადებები, კიბო, გზებზე უბედური შემთხვევები), თვითმკვლელობები მეოთხე ადგილზეა.

ბოლო ათ წელიწადში, ევროპაში 5-14 წლის ბავშვებში ორჯერ გაიზარდა თვითმკვლელობათა რიცხვი.

ამერიკის ცხრა შტატში თვითმკვლელობა დანაშაულად ითვლება.

მაინც რატომ იკლავენ თავს?

ამას წინათ ფოთში, პოლიციის შენობის წინ, დავით კ.-მ ბენზინი გადაისხა და ცეცხლი წაეკიდა. ასე გამოხატა პროტესტი 38 წლის კაცმა ძმის დაკავების გამო. ასეთი შემთხვევები, რა თქმა უნდა, უიშვიათესია.

ვის არ ვკითხე და ყველამ ერთი და იგივე პასუხი მომცა: თვითმკვლელობების მიზეზი ცუდი ცხოვრება, სიღარიბე და მისი თანამდევი მოვლენებიაო. მართალია, ზოგმა უიღბლო სიყვარული, ავადმყოფობა და მარტოობაც დამისახელა, მაგრამ ძალიან ცოტამ.

ერთად უნდა ვებრძოლოთ

ადამიანი ადამიანია და მას ათასი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს ამ ტრაგიკული გადაწყვეტილების მისაღებად.

დღეს ბევრი იკლავს თავს გოგია უიშვილის სინდრომით, უმიზეზო ტრაგედიის გმირიც მრავალია; თავს იკლავენ ულუკმაპუროდ, უპატრონოდ დარჩენილი მოხუცები. თბილისში ერთმა ოთხმოცს გადაცილებულმა ბერიკაცმა ჯერ მისავათებულ მეუღლეს მოუსწრაფა სიცოცხლე, შემდეგ თვითონ მოიკლა თავი.

საქვეყნოდ გახმაურდა იოსებ და ცილია აბრაამების (ისრაელი), ღირსეულად სიკვდილისათვის ბრძოლის საზოგადოების წევრების თვითმკვლელობის ამბავი, ისინი დაბერდნენ, დაუძლურდნენ (იოსები 84 წლის იყო, ცილია — 83-ისა) და დამამცირებელ მეურვეობას ცხოვრებიდან ნებაყოფლობით წასვლა ამჯობინეს.

წინასწარ დათქმულ დღეს მათ საყვარელი გრამფირფიტა ჩართეს, სასიკვდილო შხამით შეზავებული ღვინო დალიეს და დაიძინეს სამუდამოდ.

ასე რომ, დიდი განსხვავებაა თვითმკვლელობათა შორის. 87 წლის ანტუან ლაკასანიამ, კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის პიონერმა, საბედისწერო დიაგნოზი რომ შეიტყო, ფანჯრიდან გადმოხტა. 17 წლის მედეამ იგივე გააკეთა, ოღონდ უიღბლო სიყვარულის გამო; სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ, თუ დაბრძენებული ადამიანი, მთელი ცხოვრება ღირსეულად რომ გაატარა, ამ ქვეყნიდან წასვლას გადაწყვეტს, სათანადო მიზეზიც აქვს. სხვა ამბავია, თვითმკვლელობა, ვთქვათ, უიღბლო სიყვარულისათვის. ასეთი ადამიანის სიცოცხლის შესანარჩუნებლად მთელმა საზოგადოებამ უნდა იბრძოლოს.

ჩანს, პირობითია თავის მოკვლა სიღარიბის ან ლუკმაპურის უქონლობის გამო. ამის მაგალითად ფინეთი, შვეიცარია, დანია, ავსტრია და გერმანიაც გამოდგება. სწორედ ამ ქვეყნებშია ყველაზე მაღალი თვითმკვლელობების დონე. მეცნიერები თვითმკვლელობების რაოდენობასა და გეოგრაფიულ მდებარეობას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენას შეეცადნენ. აღმოჩნდა, რომ, ამ მხრივ, ერთ-ერთ პირველ ადგილზე კორეა, კუბა, სალვადორი... არიან. ყველაზე მეტად სიცოცხლე ზანგებს ჰყვარებიათ. მიზეზი, ევროპელს საკუთარ სიცოცხლესთან ანგარიშსწორებისაკენ რომ უბიძგებს, ზანგში მხოლოდ ირონიულ ღიმილს იწვევსო.

ჩვენს ქვეყანაში თვითმკვლელთა უმეტესობას დიდხანს სულით ავადმყოფებად თვლიდნენ. ვისაც ბედი გაუღიმებდა და გადარჩებოდა, აღრიცხვაზე აჰყავდათ და იძულებით სამკურნალოდ აგზავნიდნენ. წესიერმა ფსიქიატრებმა, მიიღეს რა სიტყვის თავისუფლება, ასეთი რამ გვამცნეს: სულით ავადმყოფებად მხოლოდ 25 პროცენტი შეიძლება ჩავთვალოთ, კიდევ მეოთხედი ნორმალური და პათოლოგიური მდგომარეობის ზღვარზეა, სხვები — აბსოლუტურად ჯანმრთელნი არიან.

სწორედ, ეს აბსოლუტურად ჯანმრთელი ადამიანები გახდნენ კვლევისა და დაკვირვების საგანი. უმრავლესობა ნათლად ვერ ხსნის თავისი ქცევის მიზეზს. მათი საუბრები, ჩვეულებრივ, სტანდარტულია და რაღაც ფატალურობის, მისტიკურობის ელფერი დაჰკრავს.

ჩვეულებრივ, თვითმკვლელობის მცდელობა, ქალებში უფრო ხშირია. ისინი, უპირატესად, თავს იწამლავენ, მაგრამ ყოველთვის იტოვებენ გადარჩენის მცირე შანსს და ხშირად უმართლებთ კიდეც. მამაკაცები უფრო უშეცდომოდ მოქმედებენ: თავის ჩამოხრჩობა, მაღალი სართულიდან გადახტომა, ცხელი ტყვია გულში ან შუბლში მათი გადაწყვეტილების შეუვალობაზე მეტყველებს.

ასაკი მრავალფეროვანია: ადამიანები ამ საბედისწერო ნაბიჯზე ფიქრს უპირატესად 20-50 წლის ასაკში იწყებენ. ყველაზე საბედისწერო მაინც 30-39, 40-49 და 50-59 წლების შუალედებია...

დღეს ისეთი დროა, ქონების ან მიზეზთა და მიზეზთა გამო, ადამიანს ჩამოახრჩობენ, ტყვიას დაახლიან, ან საწამლავს შეაპარებენ და იტყვიან, თავი მოიკლაო.

ამდენად, თავი ვალდებულად მიმაჩნია ერთი საიდუმლო გაგანდოთ: ერთ-ერთმა პეტერბურგელმა ფიზიკოსმა მიცვალებული თვითმკვლელი ელექტრომაგნიტური გამოსხივების გენერატორის ქვეშ მოათავსა. აღმოჩნდა, რომ საინფორმაციო-ენერგეტიკული ველი, რომელიც სიცოცხლეშივე აკრავს ადამიანს, სიკვდილის შემდეგაც არ ქრება. და სხეული თანაბარი სხივით არის გარემოსილი. ამასთან, ღამის დადგომისთანავე, თვითმკვლელის სხეულზე ეს გამოსხივება ერთობ იზრდება. ჯერჯერობით, ცხადი არ არის, ეს აღმოჩენა რამდენად შეგვაცნობინებს თვითმკვლელობის საიდუმლოს, თუმცა კრიმინალისტებმა ახლა ის მაინც შეიძლება უშეცდომოდ გაარკვიონ — ადამიანი ნებაყოფლობით წავიდა ამ ქვეყნიდან, თუ ეს ეშმაკური იმიტაცია იყო...

ზაურ მაკარაძე.

ვისა აქვს სამხედრო კათედრა

თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრის განცხადება

მისაღები გამოცდების მოახლოებასთან დაკავშირებით, მთელ რიგ სახელმწიფო და არასახელმწიფო კომერციული უმაღლესი სასწავლებლის მიერ პრესითა და ტელევიზიით კეთდება სარეკლამო განცხადებები, სადაც აბიტურიენტთა ჩარიცხვისა და სწავლების პირობების ჩამონათვალში ხაზგასმით ფიგურირებს ფრაზა: სასწავლებელში ფუნქციონირებს სამხედრო კათედრა.

ყოველგვარი გაუგებრობისა და გართულების თავიდან ასაცილებლად გთავაზობთ იმ სასწავლო დაწესებულებების სიას, რომელთაც მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით **აქვთ უფლება გახსნან სამხედრო კათედრა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია, ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტი, სამედიცინო ინსტიტუტი „ვითა", თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი, ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტი და ტოპოგრაფიული ტექნიკუმი.** საქართველოს არც ერთ სხვა უმაღლეს სასწავლებელს სამხედრო კათედრა არ გააჩნია და, ამდენად, მათი სტუდენტებიც სამხედრო სამსახურს გაივლიან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის თანახმად.

გახსენება

რამაზ ცხვარაძე

სამი წელი გავიდა, რაც შენ აღარ ხარ, ჩემო სიცოცხლევ, შვილო, არის თურმე ისეთი ტკივილი, რომელიც არასოდეს განელდება. აი ეს ხარ შენ, შენ მოგიკვდეს დედა. რატომ დამტოვე მე უბედური, რატომ არ მაღირსე შენი ხელით მიწის მოყრა. რა მადლი აქვს უშენოდ ჩემს სიკვდილს, ვინ გამაპატიოსნებს შენსავით. არ გეგონოს, შვილო, ჩემ თავს ვტიროდე. მე მზია და შენი შვილებიც დამმარხავენ, მაგრამ შენ სულ სხვა იქნებოდი, სიყვარულითა და სიკეთით გამორჩეული — ყველას ჭირს იზიარებდი, ლხინს ზეიმობდი... საკმარისი იყო ყური მოგეკრა ვინმეს გასაჭირზე, უმალ იქ გაჩნდებოდი. იზრდებიან შენი საყვარელი შვილიშვილები, რომლებზეც ოცნებობდი, პატარა რამაზიკო იძახის: „ჩემი ბაბუა რამაზი და მოკვდაო", მეტი რა იცის, შვილო, მიშიკო კი, შენს ეკასთან ერთად, როგორ შორს არის, შენ ამას, ალბათ, ვერ აიტანდი...

უბედური დეა, შვილიშვილების ნახვასაც ვერ მოესწრო, მაგრამ ახლა შენთან ყოფნით იქნება ბედნიერი, არც ერთი არ იტოვებდით გულში ცარიელ ადგილს, სხვისი ჭირ-ვარამით ავსებდით, ჩვენ კი — შენს ოჯახს დაგვიტოვე ისეთი სიცარიელე, ვერაფერი რომ ვერ შეცვლის და ვერ ამოავსებს... იმედი მაქვს, შვილო, შენი სული სულ ნათელში იქნება იქ.

დედაშენი
ქეთო ხახუბია.

მამუკა ლუხუტაშვილი

ჩვენო მამუკა, ჩვენო საამაყო მეგობარო!

ერთი წელია, რაც ჩვენს გვერდით აღარა ხარ, მაგრამ სიკვდილმა მხოლოდ ფიზიკურად დაგაშორა ჩვენგან, ჩვენ სულ გვახსოვხარ. გვახსოვხარ ვაჟკაცური, ხალისიანი, კეთილი, მეგობრისთვის თავდადებული. როცა ერთად ვიკრიბებით, შენც იქა ხარ, ჩვენს გვერდით, შენი ნათელი სული არ გვტოვებს.

არ გვეგონა, აფხაზეთში მრავალჭირგამოვლილს აქ თუ მოგერეოდა გარეწრის ტყვია. როგორი თავდადებით იბრძოდი! ბოლო წუთებამდე არ დატოვე სოხუმი, საკუთარი მხრებით გამოგყავდა ბევრი დაჭრილი მებრძოლი სამშვიდობოს. სად გქონდა ამდენი შემართება და სიმამაცე, რომელიც ყველა კაცს შეშურდებოდა. მით უფრო მძიმეა იმის დაჯერება, რომ ჩვენს გვერდით აღარა ხარ — ასე ყოველმხრივ შემკობილი ახალგაზრდა. შენ ხომ კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი უნდა გაგეკეთებინა შენი ქვეყნისთვის, შენი ახლობლებისთვის.

რით ვანუგეშოთ შენი ოჯახი, შენი საყვარელი დედა, ალბათ, იმით, რომ კაცური სახელი დატოვე ამ ქვეყნად. შენ თითქოს იქიდანაც გვამხნევებ და რწმენას გვინერგავ ამ მძიმე და უხალისო ცხოვრებაში.

უფალმა წაგიყვანა ჩვენო მამუკა, ნათელში იყოს შენი ლამაზი სული.

მეგობრები.

ხსოვნა

ნათელა ლომიძე

შეწყდა ლამაზი სიცოცხლე, წავიდა ჩვენგან რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი **ნათელა ლევანის ასული ლომიძე**. დაგვიტოვა განუზომელი გულის ტკივილი და სევდა, თვალებზე კი შეუშრალი ცრემლი. თავისი სიცოცხლის მანძილზე მან საინტერესო ცხოვრების გზა განვლო. ის მუდამ ღიმილიანი და ხალისით სავსე იყო. ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა, იყო კარგი სპეციალისტი და მკურნალი, ალალი, უსაზღვროდ კეთილი, უპრეტენზიო და სამართლიანი.

ქალბატონი ნათელა, მაღალი პროფესიული ნიჭით დაჯილდოებული, უანგაროდ ემსახურებოდა ადამიანთა ჯანმრთელობას. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ჯერ თავის მშობლიურ მხარეში — სიღნაღში მოღვაწეობდა, ხოლო შემდეგ ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის კლინიკის დიაგნოსტიკურ ლაბორატორიას ხელმძღვანელობდა. მუშაობდა ალჟირში. ყველგან, სადაც იგი მოღვაწეობდა, გარემოცული იყო უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით, რადგანაც ირგვლივ ყოველთვის სიკეთეს თესდა, უყვარდა ახლობლები და მეგობრები.

ძალიან გვიჭირს მასთან განშორება, მეგობრების ხსოვნაში ქალბატონი ნათელას ფაქიზი სული მუდამ თბილი მოგონებებით იცოცხლებს.

ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები.

საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის აპარატი და რესპუბლიკური საინფორმაციო-საგამომცემლო ცენტრი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა კომიტეტის თავმჯდომარის ლერი გიგინეიშვილის მეუღლე

ლალი ბრიგოლის ასული სახოკია-გიგინეიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ფირმა „POLAROID"

გთავაზობთ ახალგაზრდა გოგონებსა და ვაჟებს სარფიან სამსახურს. დაგვირეკეთ ტელ: 95-18-59.

მორიგე რედაქტორი სპარტაკ ქობულ

გამომცემელი - შპს „პრესა" რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 68484. ტელ. 99-78-24.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილ